645
1987 №5

5 ISSN 0321-1509
1987

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი



დ. იაკობაშვილის ფოტოეტიუდი


„საქართველოს ქალი“

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# გაუმარჯოს მაისს!

მოვიდა მაისი, ვარდობის თვე, მშრომელთა სოლიდარობის დღესასწაული! შემოანათა ყვავილების გვირგვინით, მუსიკის ჰანგებით, მშრომელთა ღიმილით.

წლევანდელი მაისის მოსვლა მაინც სულ სხვანაირია — დინჯი, საქმიანი, დაფიქრებული.

ეს იმიტომ. რომ წელს ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავს ვხვდებით, იმიტომ, რომ ვახორციელებთ ქვეყნის გარდაქმნას: — ღირსეული კადრების წარმოჩენას, ხელფასების ზრდას, კულტურულ ვაჭრობას და მომსახურებას, ბინების, სკოლების, კინოთეატრების, საცურაო კომპლექსების საიმედო შენებას, ლამაზი, მოხდენილი ჩასაცმელის დამზადებას.

წლევანდელი მაისი მაინც სულ სხვანაირად შემობრწყინდა, რადგან ჯერ კიდევ ახალია ის განწყობილება, საბჭოთა ხალხისადმი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვის შემდეგ რომ დაგვეუფლა.

მოწოდებებით გვიშრომია და გვიბრძოლია, მოწოდებებით ვცხოვრობთ დღესაც, მაგრამ ამგვარი გულითადი, ღრმა მეცნიერული და გულახდილი საუბარი ბევრი არ მოგვისმენია.

„ცენტრალური კომიტეტი ყველა საბჭოთა ადამიანს მოუწოდებს განიმსჭვალოს ქვეყნის მომავალი სახისათვის, სოციალიზმის ბედისათვის პასუხისმგებლობის შეგნებით და გრძნობით“.

„ცენტრალური კომიტეტი მიმართავს მშრომელთა შრომით ღირსებას, პროფესიულ სიამაყეს, საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმს“.

და არ შეიძლება საბჭოთა ადამიანმა არ იგრძნოს, რა დიდია მისი სამოქმედო ძალა, რა დიდია ზრუნვა, რომელსაც ჩვენი პარტია მისდამი იჩენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „დღეს რა შორსა ვართ ის ადგილიდან"...

დ. იაკობაშვილის ფოტოები



თინა ნოზაძე

დილის ბინდბუნდში ადამიანების სილუეტები თანდათანობით ნათლად იკვეთება. ზამთარი რა ხანია წავიდა, გაზაფხულის შუქი ადგას ფაბრიკის წინ ჩარიგებულ ხეებს.

აგერ ავტობუსიც გამოჩნდა, ფაბრიკის ალაყაფის ჭიშკართან სვლა შეანელა და გაჩერდა. ფეხით მომავალთ ავტობუსიდან ჩამოსულებიც შეუერთდნენ და ერთმანეთის მოკითხვა-მისალმებით ფაბრიკის შესასვლელი კარებისაკენ გაემართნენ.

ხაშურის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა, როგორც მშენებარე ობიექტი, ქალაქის სამეურნეო განაშენიანების რუკაზე 70-იან წლებში გაჩნდა. მაშინ ეს ადგილები ქალაქის შორეულ გარეუბნად ითვლებოდა. გაშლილ, უკაცრიელ მინდორში მშენებლებმა პირველი ბარი რომ დაჰკრეს და ახლადგაჭრილ საძირკველთან ამწე ონკანის მონტაჟს შეუდგნენ, ბევრს გულწრფელად უკვირდა, ქალაქიდან ასე მოშორებით სამუშაოდ ვინ ივლისო.

ფაბრიკა შენდებოდა, სართულს სართული ემატებოდა. და აი, 1969 წელს პირველი რიგის გაშვების ჟერიც დადგა.



— ასეთი დიდი ფაბრიკა ჩვენს არემარეში წინათ არ აშენებულა და, ბუნებრივია, პირველი პროდუქციის გამოშვების წინ, მღელვარებასთან ერთად, გამოუცნობი სიამაყის გრძნობამაც შეგვიპყრო, — იგონებს ფაბრიკის ვეტერანი მუშა ეთერ გოგოლაძე. ფაბრიკის გაშვებამდე რამდენიმე თვით ადრე ახალბედა მუშები რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის საწარმოებში საფეიქრო საქმის შესასწავლად მიავლინეს. ახლა სწორედ ისინი — ვერა გოგოლაძე, ვალენტინა ცხვირაშვილი, დალი ლურსმანაშვილი, ეთერ გოგოლაძე, ანა გრიგალაშვილი და მათი მეგობრები უნდა დამდგარიყვნენ დაზგებთან და არა მარტო სიმწიფის გამოცდა უნდა ჩაებარებინათ, არამედ სათავე უნდა დაედოთ ხაშურული საფარდე ტილოს, მაქმანისა და სამაქმანე ტილოს, საფეიქრო შესაკრავი თასმების გამოშვებისათვის, აგრერიგად რომ სჭირდებათ ჩვენს სახალხო მეურნეობას, მშრომელ ადამიანებს.

„დღეს რა შორსა ვართ იმ ნაპირიდან"... იტყვის ალბათ, აქაური ვეტერანი ფეიქარი, და მართლაც, რა დიდი და სახელოვანი გზა გამოიარა ფეიქართა კოლექტივმა.

როგორ იზარდნენ 1970 წელს გამოშვებული 84 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქციიდან 1986 წელს მიღებული თითქმის 30 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციამდე. ახლა შეიძლება ბევრს კიდეც მოეჩვენოს, განსაკუთრებით მათ, ვინც ჩვენს დღეებში იწყებს მუშაობას ფაბრიკის გაქათქათებული, მაღალმწარმოებლური დაზგა-დანადგარებით გაწყობილ საამქროებში, რომ თავიდანვე ამდენი კომფორტი, ყურადღება და ხელშეწყობა ჰქონდათ მუშა-ფეიქრებს.

ჩემი მოსაუბრე, ახალგაზრდა ფეიქარი ქალი — უკვე რვა შვილის დედა მაყვალა ხვედელიძე ღიმილით იგონებს, რა ძნელ პირობებში უხდებოდათ პირველ წლებში მუშაობა, რა ძნელად მოდიოდა სულ უმნიშვნელო წარმატებაც კი. მუშები ქალაქიდან ზამთარ-ზაფხულ ფეხით მოდიოდნენ ფაბრიკაში, სადაც ხშირად გათბობაც კი არ იყო. მაშინ ის ის იყო ფეხზე დგებოდა წარმოება, მუშიდან დირექტორამდე ყველა სწავლობდა საფეიქრო საქმეს, ქვეოსტატები და ზეინკალ-ელექტრიკოსები თავს დასტრიალებდნენ მანქანა-დანადგარებს, მქსოველები საქსოვ დაზგებს ჩაჰკირკიტებდნენ. მუყაითი, გამრჯე შრომით შეძლო შრომითმა კოლექტივმა დიდ გზაზე გამოსვლა.

დღეს ხაშურელ ფეიქართა ნაწარმს არა მარტო ჩვენში, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც იცნობენ და აფასებენ, მასზე მოთხოვნილება ყოველდღიურად იზრდება. სულ რაღაც თვრამეტიოდე წლის მანძილზე ხაშურის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მსხვილ საწარმოდ გადაიქცა. გასული სამეურნეო წელი აქაურ ფეიქრებს წარმატებული ჰქონდათ. პროდუქციის რეალიზაციამ 29 მილიონ 865 ათასი მანეთი შეადგინა, რაც გეგმიურზე მილიონ 655 ათასი მანეთით მეტია. „ნ" ინდექსით დავალების გადამეტებით გამოშვებულია თითქმის ნახევარი მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიც თვალსაჩინოა.

მაგალითად, შარშან პირველად შესრულდა საბითუმო ფასებში მიწოდების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის რეალიზაციის დავალება. ფეიქრებმა ასევე პირველად მიაღწიეს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. ფაბრიკამ სამეურნეო წელი მოგებით დაამთავრა.

ფაბრიკის მთავარი ინჟინრის მოადგილის, ქალთა საბჭოს თავმჯდომარის რუსუდან გელაშვილის ვარაუდით, მიმდინარე სამეურნეო წელიც წარმატებით უნდა დალაშქროს კოლექტივმა, ამის გარანტიაა ის მაღალი შემოქმედებითი ატმოსფერო, რომელიც დღეს ფაბრიკის შრომით კოლექტივში სუფევს.

მიღწეულით ტკბობა და თავის მოწონება არ სჩვევიათ აქაურ ფეიქრებს. ამიტომაც არის, რომ ტექნიკური სიახლის მძებნელთ, მოუსვენარი აზრის ადამიანებს პატივი და ყურადღება არ აკლიათ. ახლა ფაბრიკაში ბევრს ლაპარაკობენ ახალგაზრდა სპეციალისტ ალიოშა ქურდაძეზე. ფაბრიკის დირექტორი გურამ სტეფანიშვილი გვიამბობს:

— შარშან ალიოშა ქურდაძის წინადადებით (რა თქმა უნდა, დასაბუთებულით) ფართო მოხმარების საქონლის წარმოების უბანი შევქმენით, რომელმაც მუშაობა ნარჩენების ბაზაზე დაიწყო. უნდა ითქვას, რომ ნარჩენების (საფარდე ტილოს ამონაჭრების, წუნდებული ნედლეულის) პრობლემა წლების მანძილზე მოსვენებას არ აძლევდა ფაბრიკის ხელმძღვანელებს: საქმე იმაშია, რომ მას არავინ იბარებს, როგორც მეორად ნედლეულს. სწორედ ნარჩენების გამოყენება გადაწყვიტა ფართო მოხმარების უბანმა. ჩანაფიქრმა მოლოდინს გადააჭარბა. შეკერილმა მოდურმა ჩანთებმა, ბალიშის გადასაფარებლებმა, წინსაფრებმა, მცირე ზომის საფარდე ფარდებმა მყიდველებში დიდი მოწონება ჰპოვა. რა თქმა უნდა, პროდუქციის გასაღებას ხელი შეუწყო უაღრესად დაბალმა ფასებმაც: შარშან 55 ათასი მანეთის ნარჩენებისაგან დამზადებული პროდუქცია მიაწოდეს მომხმარებელს, წლეულს ეს მაჩვენებელი გაიზრდება, უფრო მეტიც: ფაბრიკის ხელმძღვანელობის ჩანაფიქრით წლის ბოლოს წარმოება უნარჩენო გახდება.

აი, ასე უპასუხებენ ფეიქრები დღევანდელობის მოთხოვნებს. და უკვე აღარ გიკვირს ფეიქარ კომუნისტთა წინამძღოლის, ახალგაზრდა და ენერგიული ციალა გორგიშელის ნათქვამი: მომჭირნეობა, ისევე როგორც სიახლის ძიება, კომუნისტური თვისებაა.

— ჩვენ ახლა ძირეულ გარდაქმნათა გზაზე გავედით, — ამბობს ციალა გორგიშელი, — თითოეულის ერთგული და პატიოსანი შრომა, თავის სამუშაო ადგილზე, იმის პასუხისმგებლობა, რომ როგორც დიდი კოლექტივის წევრს, ჯანსაღი მორალური კლიმატის შექმნა მოეთხოვება, ფეიქართა არმიას ერთ მთლიან, მობილურ ძალად აქცევს.

ეს კარგად აქვთ შეგნებული კადრის მუშებსაც და ახალბედებსაც.

რაკი ახალბედებზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკას თავისი საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი აქვს, საიდანაც ყოველწლიურად ახალ შევსებას იღებს. სვეტლანა ნათენაძე ფაბრიკაში სწორედ პროფტექნიკური სასწავლებლიდან მოვიდა, კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა, გათხოვდა. ახლა მას სამი შვილი ჰყავს. ნოვატორი ფეიქარი საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობის დელეგატი იყო.

უკანასკნელ ხანებში ხელმძღვანელ სამუშაოებზე აქ თამამად აწინაურებენ ქალებს. ჩინებულად უძღვებიან საქმეს ცვლის უფროსები ოთხი შვილის დედა ნაზი თედიაშვილი, სამი შვილის დედა ნინო ქარუხნიშვილი, ვალენტინა თევდორაშვილი, ლიზა ბუსრიკაძე, ნელი ლომსაძე, მხატვარი-დესინატორი ესმა ხაჩიძე...

ჯერ ოცი წლისაც არ არის ფაბრიკა და უკვე ფიქრობენ მატიანის შექმნაზე. აი, დამთავრდება თუ არა ახალგაზრდული კლუბის „ფეიქრის" რეკონსტრუქცია, პირველივე ექსპოზიცია ფაბრიკის ისტორიის ამსახველ ფოტოსტენდებს დაეთმობა.

— ახალგაზრდულ კლუბში, — მითხრეს მასპინძლებმა, — პერიოდულად მოეწყობა მუშად კურთხევის ცერემონია, აქვე მოხდება პირველი ხელფასის საზეიმოდ გადაცემა, წვევამდელების სამხედრო სამსახურში გაცილება...

...ვიდრე ქალაქში შეხვიდოდეთ, მთავარი საავტომობილო გზატკეცილის მარცხენა მხარეს ლამაზად ნაგებ, მხატვრული პანოებით დამშვენებულ ხუთსართულიან შენობას შენიშნავთ. ეს საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკაა, სადაც ხაშურელი ფეიქრები შრომობენ.

გ. ვაშაკიძე



ნაზი თედიაშვილი (მარცხნივ) და ნინო კაპანაძე



648 1987 w



მარცხნიდან: ლაბორანტი მ. ქარქაშაძე, მთავარი მექანიკოსი ბ. გიორგაძე, მუშა თ. ქათამაძე და ლაბორანტი ი. ვარდოსანიძე.

# საუკეთესო ტყიბულის ჩაი

რიგრიგობით შედიან ფაბრიკის ეზოში ჩაის ფოთლით დატვირთული ავტომანქანები.

მიმღებ პუნქტში ჩაის ფოთოლს წონიან, ახარისხებენ.

ტყიბულის ჩაის ფაბრიკა ჩვენს რესპუბლიკაში ყველაზე საუკეთესო ხარისხის ჩაის გვაძლევს.

შარშანდელი წელი აქაურებმა კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს — გამოუშვეს თითქმის ცხრა მილიონი მანეთის პროდუქცია, (გეგმის 104,7 პროცენტი) შრომის ნაყოფიერება დაგეგმილთან შედარებით 4,7 პროცენტით გაზარდეს, ზრდის ტემპი წინა წლის შესაბამისთან შედარებით 9,1 პროცენტით გადაამეტეს. მოგების გეგმა 1541 ათას მანეთამდე აიყვანეს (რაც გეგმის 111,3 პროცენტია). ზეგეგმითმა მოგებამ 340 ათას მანეთს გადააჭარბა.

ამ მაჩვენებლებით შარშან ფაბრიკის კოლექტივმა თავი ისახელა, გაიმარჯვა საკავ-

# ამერიკელი ქალები

ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთ სანაპიროებიდან ვაშინგტონამდე გამართული სამშვიდობო მარშის რეგიონალურ ორგანიზატორთან საუბარი ტელეფონის ზარმა შეგვაწყვეტინა. მის სახეზე გამოხატული ღიმილი მოწმობდა, რომ კარგი ამბავი შეატყობინეს.

— აი ყოჩაღ, ენი! ნამდვილად გონიერი ქალი ხარ. უდიდეს მადლობას მოგახსენებ, რომ კვლავ ხელი გაგვიმართე, თანაც ყველაზე კრიტიკულ მომენტში, — აღტაცებით ჩასძახა ჯენიმ ყურმილში. მერე ჩემსკენ შემოტრიალდა და, თითქოს ემოციისაგან თავშეუკავებლობის გამო ბოდიშს იხდისო, განმიმარტა:

— ენი პალოტამ დამირეკა „ორანჯ ბლოსომ პრესის" გამომცემლობიდან. მათ არა მარტო დიდი ფასდაკლებით დაგვიბეჭდეს ყველა ბროშურა და ფურცელი, არამედ გადაწყვიტეს უფასოდ დაამზადონ ომის საწინააღმდეგო პლაკატები მომავალი დემონსტრაციისათვის. ჭეშმარიტად გრანდიოზულია ენი პალოტას დამსახურება, რომელიც ნებაყოფლობითი სამუშაოების დიდ ნაწილს საკუთარ თავზე იღებს.

ასე რომ, ერთ დღეში სამჯერ შევხვდი ამ სახელს. დილით გაზეთ „სან ობსერვერში" წავიკითხე ცნობა ქალთა საერთაშორისო ლიგის ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კონფერენციის შესახებ მშვიდობისა და თავისუფლების საკითხებზე, სადაც ენი ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. მერე „ბირთვული არსენალების გაყინვისათვის" მოძრაობის კლივლენდის განყოფილების ხელმძღვანელებთან შეხვედრის დროს მიჩვენეს ომის საწინააღმდეგო პლაკატების წყება, რომელთა ქვეშ იყო ხელმოწერა „ე. პალოტა". და აი კვლავ — ჯენი ტონერთან...

გადავწყვიტე „ორანჯ ბლოსომ პრესაში" მისვლისას გავცნობოდი იმ ადამიანს, რომელიც ასე აქტიურად მონაწილეობს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

გამომცემლობა, სადაც ენი მუშაობს, მდებარეობს კლივლენდის მუშათა კვარტალში და წარმოადგენს კოოპერატიულ საწარმოს. იგი თერთმეტმა ახალგაზრდამ საკუთარი სახსრებით დააფინანსა და თვითონაც იქ მუშაობენ. აქ არ არიან დაყოფილნი უფროსებად და ხელქვეითებად. ხარჯს თანაბრად იყოფენ, შემოსავალს კი თითოეულის სამუშაო საათების რაოდენობის მიხედვით ანაწილებენ. გამომცემლობის მუდმივ კლიენტთა შორის არიან: პროფკავშირული ორგანიზაციები, მოსახლეობის სოციალურ უფლებათა დამცველი ჯგუფები, პენსიონერები, ახალგაზრდობა და სტუდენტები, რომლებიც ბეჭდავენ წიგნებს, ბროშურებს, აფიშებს, პლაკატებს, ფურცლებს, ტრანსპარანტებს.

ენი პალოტას მიწისქვეშა სართულზე მაშინ მივაკვლიე, როცა იგი პლაკატის პროექტს ამთავრებდა, რომელზეც ლამაზად გამოკვეთილი ასოებით ეწერა: „ან მშვიდობიანი თანაარსებობა, ანდა კოლექტიური გაქლეტა. დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ ყოველგვარი ბირთვული გამოცდები!"

ენი პალოტამ თავისი ორგანიზაციის მოღვაწეობაზე თქვა, რომ იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში განმტკიცებული ომისსაწინააღმდეგო მოძრაობის შემადგენელი ნაწილია, რომელიც გამოხატავს მილიონობით ამერიკელის ღრმა შეშფოთებას საერთაშორისო სტაბილურობის უქონლობისა და განუწყვეტელი ბალანსირების გამო ბირთვული ომის ზღვარზე.

შირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მოიპოვა პირველი ადგილი და დააჯილდოვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ეს გამარჯვება პირველ ყოვლისა იმის შედეგია, რომ ფაბრიკის სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მშრომელებს პარტიის 27-ე ყრილობის მიერ დასახული გარდაქმნისა და დაჩქარების განხორციელებისათვის. კოლექტივში მტკიცედ დამკვიდრდა პარტიის მოთხოვნა — გარდაქმნა თითოეულმა საკუთარი თავიდან უნდა დაიწყოსო.

ასეც მოხდა. ფაბრიკაში არ არის არცერთი რიგითი თუ ხელმძღვანელი მუშაკი, თავის მოვალეობას გულგრილად რომ ეკიდებოდეს. შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ უმიზეზოდ შარშან არცერთ მუშაკს არ გაუცდენია სამუშაო. გაიზარდა მომთხოვნელობა, კონტროლი, პასუხისმგებლობა. მრავალი ღონისძიება განხორციელდა მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, საქმით პასუხობენ სკკპ 27-ე ყრილობის მოთხოვნას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის რეალიზაციის შესახებ.

მთლიანი რეკონსტრუქციის შედეგად ფაბრიკამ სახე იცვალა — კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ერთ-ერთი მოწინავე საწარმო გახდა. ფაბრიკას მოკლე დროში ახალი საღნობი საამქრო მიუშენეს, ოთხი ახალი საღნობ-საფიქსაციო აგრეგატი დაამონტაჟეს. მოძველებული როლერები მაღალი წარმადობის როლერებით შეცვალეს.

ავტომატიზაციამ დააჩქარა და გააუმჯობესა ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესი. სახმობ განყოფილებაში ძველი ღუმელები ახალი, მაღალმწარმოებლური მოდერნიზებული ღუმელებით შეიცვალა, დამონტაჟდა ახალი დამხარისხებელი კომბაინი, რამაც გარდატეხა მოახდინა შრომის პროცესში.

ეს ყველაფერი შარშან გაკეთდა.

— წლეულს კიდევ უფრო იზრდება ფაბრიკის წარმადობა, — გვეუბნება ფაბრიკის დირექტორი გურამ რუხაია. გეგმით შარშანდელთან შედარებით 387 ათასი მანეთით მეტი პროდუქცია უნდა გამოვუშვათ. პროდუქციის გამოშვების ზრდა შეუძლებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაუჩქარებლად. დამონტაჟდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა კიდევ ერთი საღნობ-საფიქსაციო აგრეგატი, ერთი როლერი, ღუმელი, ორი დამხარისხებელი აგრეგატი. ამან კიდევ უფრო დააჩქარა ფოთლის ტექნოლოგიური გადამუშავების პროცესი.

ფაბრიკის ძირითადი წარმმართველი ძალა მაინც ადამიანები არიან. ოცდახუთ წელზე მეტია ფაბრიკაში შრომობენ ლუდმილა ცქიფურიშვილი, ვალენტინა სიდოროვა, თამარ დავითაია, რომან ქათამაძე, გიორგი ბუხაიძე, ავთანდილ გაბრიაძე, რეზო ცირეკიძე. ისინი საქმის სიყვარულით და მონდომებით გამოირჩევიან, ყოველთვის მოწინავეთა რიგებში დგანან.

შეიქმნა მუშათა დინასტიები. თითქმის 30 წელია აქ ერთგულად მუშაობს სამოველ ქათამაძე. მამის გზას გაჰყვა შვილი რომანი, რომელიც მოწინავე ზეინკალია. წარმოებაში საქმიანობენ სამოველის რძლები ნათელა და დალი ქათამაძეები, ნანული ჩაფიძე. ოჯახის ტრადიციას არც შვილიშვილმა მარინემ უღალატა.

29 წელია ფაბრიკაში ფუტკარივით შრომობს ნორა გვანცაძე. მას მხარში ამოუდგა შვილი გელა, შემდეგ შემოუერთდნენ რძლები ციალა კაპანაძე და ლეილა გვანცაძე.

მეოთხედი საუკუნე გაატარა ფაბრიკაში ვალენტინა რიჟამაძემ. მის გვერდით არიან შვილები მანანა და მზია.

ძმებმა ზურაბ და მურთაზ ბოკუჩავებმა კოლექტივში სამუშაოდ მოიყვანეს თავიანთი მეუღლეები — ლალი და ნანი. მაშო ნაცვლიშვილს ფაბრიკაში მისი შვილი დავითი, მოჰყვა. წარმოების მოწინავე მუშები არიან ცოლ-ქმარი გივი და ვერა ნაცვლიშვილები.

ამ ადამიანებს კოლექტივი თავიანთ მეორე ოჯახად მიაჩნიათ, სძლევენ ყველა სიძნელეს, არ იციან ჩამორჩენა, გამოირჩევიან საზოგადოებრივი საქმიანობით.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის სეზონი დაიწყო. განუწყვეტლივ ნაკადად მოდის ხუთწლედის მეორე წლის მოსავალი. მაღალმთიანი სოფლების — ძმუისის, მუხურის, სოჩხეთის, გურნის, ძიროვნის, საწირის, ხრესილის, ბუეთის კოლმეურნეობებიდან.

მონოტონურად გუგუნებს მანქანები...

აგრეგატებთან დღედაღამ მუშაობენ მკლავმოუღლელი ადამიანები, რომ მეტი და საუკეთესო ხარისხის ჩაის ფოთოლი მისცენ სახელმწიფოს, ხორცი შეასხან მეთერთმეტე ხუთწლიანი გეგმით დასახულ ამოცანას.

**სიმონ მერკვილაძე,**
გაზეთ „ტყიბულის“ რედაქტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.

# მშვიდობისათვის ბრძოლაში

— ახლა ჩვენი მუშაობის ყურადღების ცენტრშია საზოგადოებრივი აზრის მობილიზება საბჭოთა მორატორიუმის მხარდასაჭერად ბირთვულ აფეთქებებზე, — განაგრძობს ჩემი თანამოსაუბრე. უნდა ვაღიარო, რომ ერთხანს ჩვენი ლიგა ინერციულ, პასიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა გარკვეული პრიორიტეტისა და მიზნის უქონლობის გამო. ზოგიერთი ქალი ლიგიდანაც კი გავიდა, რადგან რწმენა დაკარგა რეალური განიარაღების მიღწევის შესაძლებლობაში და აქედან გამომდინარე მტკიცე მშვიდობიანობის დამყარებაში. მაგრამ ახლა მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. მორატორიუმმა მოძრაობის ახალი იმპულსი შემატა, ნათლად უჩვენა რეალური უშიშროებისა და მშვიდობისაკენ უმოკლესი გზა. განიარაღების პრობლემებისადმი საბჭოური მიდგომა ეხმიანება ამერიკული მოძრაობის მშვიდობისმოყვარე ძალთა გასაჭირს. ამიტომ მთელი ყურადღება იმაზე გავამახვილეთ, რომ ვაშინგტონის ადმინისტრაციასთან მივაღწიოთ ჩვენი რწმუნების დამოწმებას ბირთვული იარაღის მთლიანად მოსპობის სასარგებლოდ. წინაალმდეგ შემთხვევაში იგი ამერიკელებისა და მთელი მსოფლიოს წინაშე წარსდგება, როგორც თვალთმაქცი და ფარისეველი

ომისსაწინააღმდეგო სხვა ორგანიზაციებთან ერთად ჩვენი ლიგა მონაწილეობას იღებს პეტიციისათვის ხელმოწერების შეგროვებაში, რომელიც მოითხოვს ბირთვული აფეთქებების დაუყოვნებლივ შეწყვეტას. ის აორგანიზებს საპროტესტო დემონსტრაციებს დაუსრულებელი ბირთვული გამოცდების წინაალმდეგ ნევადის პოლიგონზე. წელს წარმატებით ჩაიარა სემინარებმა: „ან ბირთვული ომის რისკი, ანდა განიარაღება. რა უფრო უსაფრთხოა?“ ამ სემინარებმა კარგი დახმარება გაუწია მის მონაწილეებს დღევანდელი პოლიტიკური სიტუაციის ძირითად პრობლემათა გარკვევში, ხოლო მონაწილეთა რიცხვი ორჯერ უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდით.

— ჩვენი ბრძოლა გარკვეულ ნაყოფს რომ იძლევა, იცით ამას რა მოწმობს? აი ამგვარ ამერიკელ „პატრიოტთა“ გზავნილების მკვეთრი შემცირება, — ენიმ მაგიდის უჯრიდან ცისფერი ქაღალდის ფურცელი ამოიღო.

— „საბჭოების მიერ შემოთავაზებული მშვიდობა. — ვკითხულობ მე, — ეს კომუნისტური მახეა ამერიკელებისათვის. მორატორიუმის მიზანია — სიფხიზლის მოდუნება და ამერიკის განიარაღება. ის რაც კომუნისტებს ნებავთ, ღმერთს არ სურს“...

— ამგვარი ხასიათის ეს ერთადერთი ფურცელია მთელი თვის მანძილზე, ერთი წლის წინ კი ასეთი ზეშთაგონებები ყოველდღე რამდენიმე ცალი მოდიოდა — ამით დაასრულა საუბარი ენი პალოტამ, — რადგან სატვირთო მანქანას უნდა დახვედროდა და მუყაო გადმოეცალათ. იმ ღამეს დიდი სამუშაო ელოდათ. ხუთასზე მეტი პლაკატი უნდა დაებეჭდათ, დილისათვის გათვალისწინებული ომისსაწინააღმდეგო დემონსტრაციისათვის. პირველი პლაკატი ენი პალოტამ მე მაჩუქა წარწერით:

„ეს მარტო სუვენირი კი არ არის კლივლენდში, ოჰაიოს შტატში ჩამობრძანებისათვის, არამედ იმის შესახსენებელიც გახლავთ, რომ ამერიკელ ხალხს სურს საბჭოთა ხალხთან მეგობრული და მშვიდობიანი ურთიერთობა. დაე, სამშვიდობო ცაზე მარად ჩაუქრობლად გვინათებდეს მზე!“

**იგორ მაკურინი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ცხოვრებაში ყველას აქვს თავისი რწმენა, თავისი სიყვარული, თავისი ნავსაყუდარი. ჩემი რწმენა სამშობლოა, კომუნისტური იდეალებით ანთებული. ჩემი სიყვარული და აღმაფრენა შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილი არიან. ნავსაყუდარი კი ჩემი გაზეთია, ჩემი „საბჭოთა ოსეთი". ეს სიტყვები საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის თინა ბახტაძის წერილიდან არის ამოღებული, წერილიდან, რომელიც „საბჭოთა ოსეთში" გაზეთის დაარსების 50-ე წლისთავის დღეებში გამოქვეყნდა. დიახ, ქალბატონ თინას შეუძლია თქვას „ჩემი გაზეთიო", რადგან რამდენიმე ათეული წელი საოლქო გაზეთის კოლექტივში იღვწოდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი 1937 წელს დაამთავრა მასწავლებლად ბაკურიანში გაანაწილეს. იქ გაიცნო ადგილობრივი მკვიდრი სერგო სანაკოევი. ახლადშექმნილი ოჯახი საცხოვრებლად ცხინვალში გადმოვიდა. სერგო აქ ოლქის პროკურორის მოადგილე იყო, ქალბატონი თინა კი — მასწავლებელი.

დიდი სამამულო ომი დაიწყო. სერგო მოხალისედ წავიდა ომში. შინ ახალგაზრდა ცოლი და ორი მცირეწლოვანი შვილი დატოვა.

მტერთან საბრძოლველად „საბჭოთა ოსეთის" მუშაკებიც წავიდნენ. რედაქციას გაუჭირდა. და აი, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებით თინა ბახტაძე „საბჭოთა ოსეთის" რედაქციაში პასუხისმგებელ მდივნად გადაიყვანეს.

თინასათვის ახალი შემოქმედებითი ცხოვრება იწყებოდა. ჟურნალისტები ცდილობდნენ გაზეთის ფურცლებიდან იმედითა და რწმენით აღევსოთ ოლქის მშრომელები. დაერაზმათ ისინი ზურგში გმირული შრომისათვის; აესახათ მტრის წინააღმდეგ მებრძოლთა თავდადება. თითოეული ნომრის გამოშვება მეტად რთულ პირობებში ხდებოდა: მაღალმთიან სოფლებში ფეხით უხდებოდათ სიარული და ბედნიერად გრძნობდნენ თავს, თუ ცხენს შესთავაზებდნენ. კორესპონდენტებიც ჩვენ ვიყავით, ლიტმუშაკებიც და განყოფილებათა გამგეებიცო — ამბობს თინა.

ძნელი იყო მბჟუტავ ნათურასთან ასოების გარჩევა. მაშინ ყველა მასალა ხელით იწყობოდა. ღამეების თევა რედაქციის მუშაკებისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო. თინაც ათევდა ღამეებს. უჭირდა შვილების აღზრდა, არავინ ჰყავდა შინ მიმხედავი.

ახალგაზრდა ქალი სიძნელეებს არ უშინდებოდა. გული რწმენით ჰქონდა სავსე. სწამდა, რომ საბჭოთა ხალხი გაიმარჯვებდა, მეუღლე შინ დაბრუნდებოდა. სიხარულით ელოდა სამკუთხა ბარათებს. მაგრამ 1942 წლის ივლისში მოვიდა ცნობა, რომ სევასტოპოლთან, კამიშოვის ყურესთან გმირულად დაიღუპა სანიტარული ბატალიონის სამხედრო კომისარი სერგო სანაკოევი.

ძალზე გაუძნელდა ამ ტკივილის გადატანა... ვინ იცის, მერამდენედ კითხულობდა ფრონტულ ბარათებს. მაინც გაიმაგრა გული ახალგაზრდა ქვრივმა, სიყვარულით ზრდიდა შვილებს, უფრთხილდებოდა ქმრის ხსოვნას და ცოდნასა და ენერგიას ახმარდა საყვარელ გაზეთს. ომის მძიმე წლებში სკკპ რიგებში მიიღეს. ასე გადიოდა დრო. შემდეგ საქართველოს დეპეშათა სააგენტოს სამხრეთ ოსეთის კორესპონდენტად მუშაობდა. 1953 წელს კვლავ „საბჭოთა ოსეთს" დაუბრუნდა, ამჯერად ინფორმაციის განყოფილების გამგედ. პენსიაზე აქედან გააცილეს.

კვლავ საინტერესოა თინა ბახტაძის, ამაგდარი ჟურნალისტის ცხოვრება. ტელეფონის ზარის ხმა ხშირად გაისმის მის მყუდრო ოთახში. უხმობენ ქალაქკომიდან, საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან, სხვადასხვა ორგანიზაციებიდან... იწვევენ კონფერენციებზე, შეხვედრებზე... მისი ოთახი კი ნამდვილი არქივია. სათუთად შემოუნახავს უამრავი მასალა, წიგნები, ბარათები, რომლებიც მის საინტერესო ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. ამ მასალებიდან შეიტყობთ, რომ იგი საქალაქო საბჭოს დეპუტატი იყო. 1961 წელს გამოცემულ, ოლღა ფლიევას წიგნში („სამხრეთ ოსეთის ქალების წარსული და აწმყო") მოთხრობილია მის შესახებაც. სათუთად შემოუნახავს 25-მდე მედლისა და სამკერდე ნიშნის მოწმობები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის საპატიო სიგელი (ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში მონაწილეობისათვის).

თინა ბახტაძე მეგობრობს მეუღლის — სერგო სანაკოევის თანაპოლკელებთან, რომლებმაც იგი ზღვისპირეთის არმიის 388-ე მსროლელი დივიზიის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს. როცა თანაპოლკელები ერთმანეთს ხვდებიან, მათ შორის ყოველთვის არის თინა ბახტაძე, სევასტოპოლსა თუ ქუთაისში, ბათუმსა, ფოთსა თუ წულუკიძეში, სამტრედიასა თუ სოხუმში. ყოველ დღესასწაულზე მოსალოცი ბარათები მოსდის... ბედნიერებას, ჯანმრთელობას უსურვებენ ომის ვეტერანები შარაშენიძე და გაბუევი, ბიოჩუკი და ნიკოლაევი, სერგიენკო და მალახოვი, ალიევი და ქარუმოვი... წერილებს იღებს წითელკვალმაძიებლებისაგანაც.

თინას ოთახში, მაგიდაზე კამიშოვის ყურედან ჩამოტანილი მიწით სავსე ლარნაკი დევს. ამ მიწას შეეწირა მისი მეგობრის სიცოცხლე. მაგრამ ცხოვრება გრძელდება.

თინა კვლავ ეჭიდება სიტყვას და წერილებს აწვდის გაზეთს. ცხინვალში ყველამ იცის, რომ თინა ბახტაძისათვის „საბჭოთა ოსეთი" შეუცვლელი ნავსაყუდარია.

**ნ. ჩალაური,**
**გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" განყოფილების გამგე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

5 მაისი—პრესის დღე

## გარდამავალი დროშა დღესაც ამშვენებს სტამბას



უფროსი ინჟინერი ბ. გოგიჩაიშვილი, პოლიგრაფისტი ნ. ქოიავა და ბრიგადირი ზ. მაჩიტიძე

# პოლიგრაფისტი



ნანა ქოიავა

ნანა ქოიავა 30 წლისაა.

მისი მშობლიური გამსახკომის მე-17 სტამბა კი — 60-ისა.

სტამბაში 52 თანამშრომელია.

ნანა პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანია და სათითაოდ იცნობს ყოველ მათგანს. მათი საქმის, წარმატების, ლხინისა თუ ჭირის მოზიარეა.

გამოცდილი პოლიგრაფისტია. დამთავრებული აქვს მოსკოვის პოლიგრაფიული ინსტიტუტის სარედაქციო-საგამომცემლო ფაკულტეტი. დღესაც სიყვარულით იგონებს პედაგოგებს: კათედრის გამგეს ნინა სერგის ასულ ვალგინას, პროფესორ ვიქტორ ნიკოლოზის ძე შეინის და სხვებს, ინსტიტუტს კი ინტერნაციონალურს უწოდებს, საიდანაც სითბოს, გულთბილი დამოკიდებულებისა და გულითადობის ხსოვნა გამოჰყვა.

წიგნის სიყვარულმა სკოლის დამთავრებისთანავე თბილისის წიგნის ფაბრიკაში მიიყვანა მუშად, 1979 წლიდან კი გამსახკომის მე-17 სტამბაში გადავიდა. მოსკოვის პოლიგრაფიულ ინსტიტუტშიც მაშინ დაიწყო სწავლა. 1980 წლიდან პარტიული ორგანიზაციის მდივანია. ორგანიზაცია შედარებით მცირერიცხოვანია, პარტიის 14 წევრს ითვლის. საქმე კი მეტად დიდი და მნიშვნელოვანია. სტამბაში 9 დასახელების მრავალტირაჟიანი გაზეთი იბეჭდება: „თბილგვირაბმშენი", „სამთო ქიმიელი", „მეტრომშენებელი" და სხვ. გამოდის სამგზავრო და სატვირთო მატარებლების განრიგები (სტამბა ხომ რკინიგზის სამმართველოს ემსახურება), მცირეფორმატიანი წიგნები, დამყარებულია ურთიერთობა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოსთან", „ნაკადულთან", „მერანთან". ნანა ქოიავა გამსახკომის ლიმიტით დაბეჭდილ რამდენიმე მცირეფორმატიან წიგნს აწყობს მაგიდაზე: ლექსები, ნარკვევთა კრებულები, მშვენივრად გამოცემულნი!

დიადი გარდაქმნები საკუთარი თავის გარდაქმნით დავიწყეთო, — ამბობს ნანა, — სოცშეჯიბრებაში ყოველთვის პირველ ან მეორე ადგილზე გამოვდივართ, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენი პროდუქცია დაგვიანებით გამოგვეშვას, 1984 წელს კავშირის მასშტაბით გარდამავალი წითელი დროშა მოვიპოვეთო.

ეს დროშა დღესაც ამშვენებს სტამბის თავკაცის, გამოცდილი პოლიგრაფისტისა და გულითადი ადამიანის, პატივცემულ ირაკლი თევდორაშვილის კაბინეტს. მას ეამაყება თავისი კოლექტივის წარმატება, უხარია შრომის დაფასება, ის რომ ძველებურად მხოლოდ მაღალ ბეჭდვას კი არ იყენებენ, არამედ 2 წელია, რაც ოფსეტურ ბეჭდვაზეც გადავიდნენ, რომ ძველი მანქანები ახალი დანადგარებით შეიცვალა, რომ პროდუქციის ხარისხი შრომის მაღალი დისციპლინით მოიპოვეს. ყველაფერ ამას ადმინისტრაციამ პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად მიაღწია. რაოდენ სასიამოვნოა, რომ დირექტორის მოადგილე საქართველოში ცნობილ პოლიგრაფისტთა — გოგიჩაიშვილთა ოჯახიდან არის. ბიჭიკო გოგიჩაიშვილი გულმხურვალედ უჭერდა მხარს პასუხისმგებელ მორიგეთა ჯგუფის შექმნას. ეს გასაზიარებელი სიახლეა: ჯგუფი დილიდან საღამომდე პასუხისმგებელია სტამბის მთელ საქმიანობაზე. დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობენ ვეტერანი პოლიგრაფისტი ავთანდილ ბარნაბიშვილი, 40 წელი რომ ემსახურება მშობლიურ სტამბას, ცოლ-ქმარი მაჩიტიძეები, ლუდმილა მატვეევა, გრიგოლ ამირბეგოვი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი მანანა კოზანოვა, 17 ახალგაზრდა კომუნისტი, კომკავშირელ ვეტერანებთან ერთად რომ არიან გაერთიანებული პარტიული სწავლების ქსელში, რომლის პროპაგანდისტი თავად დირექტორია.

ახლა ყველას დიდი სურვილია როგორმე გაფართოვდეს სტამბის ტერიტორია, უფრო ფართოდ დაინერგოს ოფსეტური ბეჭდვა, მიიმაგრონ რომელიმე გამომცემლობა...

ნანა ქოიავა პარტორგანიზაციის მდივნების სკოლის საშუალებით ყოველთვის სიახლეების კურსშია, იცის რა ხდება სხვა ორგანიზაციებში, ღებულობს ინფორმაციებს და საინტერესოდ წარმართავს თავის მუშაობას.

ეს მშვენიერი, ცისფერთვალა ქალი ღიმილით მიმხელს, რომ ჯერჯერობით ერთი გოგონა ჰყავს — 10 წლის ქეთინო, რომ მეუღლე, პეტრე იაკობაშვილი მხატვარი-დიზაინერია. ნანა კი თავის მეორე ოჯახს — 52 კაციან სტამბას — შეიძლება უფრო მეტ დროს უთმობს. მე არ ვიცი, რომელი უფრო მეტად მიყვარსო.

ალბათ, ორივე ერთნაირად!

ნ. გიორგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფოს-ტა-ლი-ონი

ის ყოველ დილით ერთსა და იმავე ქუჩას გაივლის და კავშირგაბმულობის ორსართულიან შენობაში შედის. იქედან ფოსტალიონის ჩანთა გამოაქვს და ქალაქის საცხოვრებელი სახლების ბინებს დაივლის. ვის ახალ გაზეთებსა და ჟურნალებს მიუტანს, ვის წერილით გაახარებს, ვის კიდევ ამანათს ჩააბარებს. ამ სანდომიან ქალს ყველა იცნობს და მოწიწებით ესალმება. იგი თექვსმეტ წელიწადზე მეტია, რაც ყველა ოჯახის შინაურია.

საშუალო სკოლის დამთავრების უმალ დალიმ შახტის სალამპე საამქროში მეშახტის ნათურის გამწყობად დაიწყო მუშაობა. მერე ერთხანს ბავშვთა საავადმყოფოს სანიტარი იყო. აქედან კავშირგაბმულობის კვანძში გადაინაცვლა.

ამ ათი წლის წინათ დაწესებულების ხელმძღვანელობამ დალის დიდი ნდობა გამოუცხადა, დამტარებელთა ბრიგადირად დააწინაურა. მის ბრიგადაში რვა ფოსტალიონია. დალი უნარიანად უძღვება საქმეს. თითოეული დამტარებლის მუშაობას ამოწმებს, გზავნილები და ჟურნალ-გაზეთები ადრესატებს დროულად ჩააბარეს თუ არა. თვითონ ბრიგადირი ქალაქის ყველაზე დიდ უბანს ემსახურება. მაგრამ ამით როდი კმაყოფილდება. როცა საჭიროება მოითხოვს, თავისი ბრიგადის წევრებსაც შველის. გასულ ზაფხულში დალიმ ორი დამტარებელი შეცვალა. თავის უბანთან ერთად ლენინისა და გაბრიაძის ქუჩების მცხოვრებლებსაც მოემსახურა.

დალი კიკნაძის ბრიგადა ხშირად იმარჯვებს სოციალისტურ შეჯიბრებაში. დიდი ხანი არ არის, რაც დალი კომუნისტური შრომის დამკვრელის ნიშანს ატარებს. 1986 წელი კი ყველაზე სამახსოვრო წელი იყო დალი კიკნაძისათვის. მისი უანგარო შრომა პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს. ენთუზიასტი ბრიგადირი საპატიო ჯილდოთი — ხალხთა მეგობრობის ორდენით დააჯილდოვეს.

კარგი დამრიგებელიც არის დალი. მან ბევრ ახალბედა ფოსტალიონს დაულოცა გზა, მისცა ცხოვრების საგზური შრომითს არენაზე გასასვლელად. მისი აღზრდილები არიან ლიანა ბუბაშვილი, ნაზი წიქარიშვილი, მზექალა საყვარელიძე და მრავალი სხვა, რომლებიც ახლა მის გვერდით მუშაობენ და არ ჩამორჩებიან თავიანთ დამრიგებელს.



აი რა თქვა ახალგაზრდა ფოსტალიონმა მზექალა საყვარელიძემ: — კავშირგაბმულობის სისტემაში სკოლის მერხიდან მოვედი. ბედმა გამიღიმა — დალის ბრიგადაში გამგზავნეს დამტარებლად. მისვლისთანავე ბევრი კეთილი სიტყვა მითხრა ჩემმა დამრიგებელმა, დეტალურად შემასწავლა ჩემი სამოქმედო უბანი, გამაცნო ქუჩის მცხოვრებლები, ერთი სიტყვით, შემაყვარა ფოსტალიონის უბრალო, მაგრამ საპატიო პროფესია. მე ჩემი დამრიგებლის დიდად მადლობელი ვარ. ახლა დალი მირჩევს, რომ უმაღლეს სასწავლებელში შევიდე, წარმოებისაგან მოუწყვეტლად ვისწავლო.

დალი ჩინებული დედაც არის, სამი შვილი — ორი ვაჟი და ერთი ქალი გაზარდა და, დააოჯახა კიდეც. თეიმურაზი და თენგიზი ლენინის სახელობის შახტში მუშაობენ. პირველი მოძრაობის უბნის ცვლის უფროსია, მეორე კი — ამავე უბნის მუშა. ქალიშვილი დედის გზას გაჰყვა. ლილი ნიკორწმინდის საფოსტო განყოფილების ოპერატორად მუშაობს. კიკნაძეების დიდ ოჯახში პირველი შვილიშვილიც გაჩნდა.

საზოგადოებრივი საქმიანობა დალის მოწოდებაა. ის ხომ წლების მანძილზე დამტარებელთა საამქროს უცვლელი პროფჯგუფორგია, დიდი ხალისით ასრულებს სახალხო კონტროლიორის საპატიო მოვალეობასაც. მისი უშუალო ჩარევით კავშირგაბმულობის საქალაქო კვანძში ბევრი მტკივნეული საკითხი მოგვარდა.

— მთავარი ის არის, — ასწავლის დალი თავისი ბრიგადის წევრებს, — შეიგნოთ, რომ საჭირო ხართ საზოგადოებისათვის. ადამიანებს თუ სჭირდები, თუ გინდ ერთსაც კი, ჩათვალე, რომ ქვეყანაზე ტყუილად არ გიცხოვრია.

ვასო ცირეკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მადლი ჰქენი, ქვას დადევი...

# მოგონებების ერთი საღამო



ცხოვრება მიდის, მიმდინარეობს...
თაობა ცვლის თაობას.

გულსატკენია, როცა გარდასულთა ღვაწლსა და ამაგს ველარ ვიხსენებთ, ველარ ვიცლით...

სასიხარულოა, როცა ვიცლით კიდეც და ჩირაღდანივით აღვმართავთ ზევით ამაგდართა სახელებს, რათა დროის ლაბირინთები გავანათოთ, გავაშუქოთ.

გახსენება დიდი მადლია, შთამომავალთა მიერ გაღებული. ერთ-ერთი ასეთი მადლის გამღები გახლავთ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, მკვლევარი ქალი ნინო ჩიხლაძე. ჩვენი საზოგადოებრიობა კარგად იცნობს მის ღვაწლს, მის წიგნებს, ლიტერატურულ გამოკვლევებს, მონოგრაფიებსა თუ პუბლიცისტურ წერილებს (11 წიგნი, 200-ზე მეტი ლიტერატურული წერილი), ხოლო მისი ინიციატივით გამართული შეხვედრები, ლექციები, საიუბილეო საღამოები კარგა ხანია იქცევს ჩვენს ყურადღებას. მწერალთა კავშირი, რესპუბლიკური საჯარო ბიბლიოთეკა, ნ. ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი ბევრჯერ გამხდარან ამ საღამოებისა და შეხვედრების ადგილსამყოფელი.

ნ. ჩიხლაძე დაუცხრომლად ეწევა მივიწყებულ მწერალთა ნაწარმოებების, მწერალ და ქველმოქმედ ქართველ ქალთა ღვაწლის გამომზეურებას, „წერე მხოლოდ ქალებზე, ქართველ მწერალ ქალებზე“ თავისებური ბუბუნა ხმით შეუძახა გიორგი ლეონიძემ მას, ლიტერატურული მუზეუმის ახალბედა თანამშრომელს. დიდმა პოეტმა იცოდა ადამიანთა დაფასებაც და ყადრიც. მასწავლებლის სახლში, მისთვის გამართულ საღამოზე, როცა მან ნინო ჩიხლაძის მოხსენება მოისმინა, იმდენად მოიხიბლა, რომ ლარნაკებიდან ვარდები ამოიღო და მთლიანად ნინოს მიართვა. შემდეგ აკი მიიწვია კიდეც დაწესებულებაში, რომლის თავკაციც თვითონ ბრძანდებოდა — ლიტერატურულ მუზეუმში. აქ ნინო წლობით მუშაობდა, იკვლევდა და ამზეურებდა გარდასულ თუ ახალი საუკუნის მოღვაწე ქალთა შემოქმედებას.

„მარტო მანანას სალონზე მთელი გამოკვლევა დაიწეროს, თუნდაც რომანი დაიწეროს, მაგრამ ეს საქმე ჩვენმა ნიჭიერმა მწერალმა ქალებმა, თუნდაც ნინო ჩიხლაძემ უნდა ითავოს“ — ჩაუწერია დღიურში იოსებ გრიშაშვილს.

ჭეშმარიტად! ნინო ჩიხლაძემ ბევრი წიგნი თუ მონოგრაფია უძღვნა ქართველ გამოჩენილ მანდილოსანთა ცხოვრებას. ვასახელებთ არასრულ სიას: „დომინიკა ერისთავი-განდეგილის ცხოვრება“, „ღვაწლმოსილი ქართველი მანდილოსნები“, „იმერელი ქალი“, „ნინო თარიშვილი“. უნდა გამოიცეს: „ქართველი დემოკრატი ქალები“, „მანანა ორბელიანის ცხოვრება“ და სხვა.

ცხოვრების მანძილზე ქალბატონმა ნინომ მრავალს გაუწოდა ხელი, მრავალს მიაპყრო გული და სმენა. ამის მოწმეა მისი არქივი — ამოუწურავი, მდიდარი.

მრავალთაგან ერთს გამოვარჩევთ — განსაკუთრებულს: დიდი ვაჟას ერთგული მეუღლის — თამარის ფოტოსურათს. ნინო ჩიხლაძემ ვაჟას სახლკარში ერთი ზაფხული გაატარა. „ვაჟა მოგონებებში“ — ასე დაარქვა წერილს. სათითაოდ გაიცნო და დაუახლოვდა დიდი პოეტის მომსწრეთ. ხოლო თამარ რაზიკაშვილი განუშორებელ მეგობრად ექცა. თითქმის ორი წელი იცხოვრა ვაჟას ოჯახმა ამ მეგობართან, თბილისში. სტუმრად მოსული ქართველი მწერლები კი ამბობდნენ: ყველა სადღეგრძელო თამარით უნდა დავიწყოთ და ისევ თამარით დავამთავროთო!.. 1950 წელს ვაჟას იუბილეს დაესწრო თამარი. პრეზიდიუმში ნინომ აიყვანა და იგრიალა კიდეც ტაშმა... ყოველმა ქართველმა იცის: ახლა თამარი დიდუბის მიწაში განისვენებს, სათაყვანებელი მეუღლის ნასაფლავარში. უკანასკნელი სიტყვაც ნინო ჩიხლაძემ უთხრა...

ნინო ნაკაშიძის იუბილეზე გიორგი ლეონიძემ ხელები დაუკოცნა მწერალ ქალს და მოწიწებით წარმოსთქვა: „მე ვეამბორები იმ ხელებს, რომლებსაც ჰკოცნიდნენ დიდი აკაკი და დიდი ვაჟაო“ (ესეც ნინო ჩიხლაძემ მიამბო!) და როდესაც ნინო ჩიხლაძის წიგნს ვკითხულობ, მეც ასე მგონია: სულიერად ამბორს ვყოფ ჩვენს გარდასულ, დიდებულ მანდილოსნებს!...

**ნაზი კილასონია**

* * *

თითქოს ღმერთს წაექცა ჰიქა შარბათი,
აპრილია, წვიმა არის და ორშაბათი.
თითქოს ცამ გაიმეტა სრულად ნექტარი,
ხეები დგანან გალუმპულნი, ლოცვად შემდგარნი.
მთაწმინდა არ ჩანს, მტკვარზე ნისლია
ქოლგის ქვეშ ქალი მიიჩქარის, ნეტავ ვისია?
არავისია. გულს არ სჯერა, არა მგონია.
ირმისფეხება, შავთვალება, ღაწვებბროლია.
სახლები წვება გუბეებში და იძირება,
წყალზე დაწერა მოვინდომე, ჩაიძირება.
შეწირულივით გავედევნე ქუჩას წვიმიანს,
ხეზე ჰინკები შემომსხდარან და მიღიმიან.

## საგალობელი

ყველა მთის გაგრძელება — ციხე.
ყველა წყალს — გასასვლელი ხერგი.
სიტყვათა დასრულება — სიბრძნე,
სიცოცხლის გამართლება — ნერგი.
მამულში მდინარე ბევრი...
რიონი, ენგური, თერგი,
არაგვი — შავი და თეთრი
და მტკვარი... და მტკვარი ერთი!

ერთი რუსთაველი, ერთი!
(კაცად ქმნილი, ოღონდ ღმერთი)
ერთი თევდორე და ცოტნე,
ვეფხვთან მორკინალი მოყმე.
ერთი თამარი და თამთა,
ღმერთო, ნუ მომიშლი მამულს,
ღმერთო მატარებდე მთა-მთა.

**მერაბ მაისურაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრი გულისაშვილი

# ამალია

ნოველა



მხატვარი კარლო ფაჩულია

1945 წლის დეკემბრის ბოლო დღეები იდგა. № გვარდიული მსროლელი დივიზიის დაზვერვის უფროსის მოადგილე, გვარდიის კაპიტანი ჯარჯი ჯილაური „გუსართა მეჯლისის“ შემდეგ შინ მხიარული დაბრუნდა. იმ დღეს შტაბის ოფიცრებს ხელფასი დაურიგეს და, თავის მეგობრებთან ერთად ქალაქ გოთას „ალტმარკის“ მოედანზე ბებერი გუსტავის „ბიერჰაუზის“ დარბაზში გემრიელი, ბავარიული ხავერდოვანი ლუდით გაიგრილეს გული.

ჯარჯი ჯილაური ორსართულიანი კოტეჯის პირველ სართულზე ცხოვრობდა. შინელი გაიძრო და დასაძინებლად გაემზადა, მაგრამ მეზობელი სამზარეულოდან მსუბუქი მუსიკის ჰანგებმა მიიქცია მისი ყურადღება.

ხუროთმოძღვრის ჩანაფიქრით კაპიტნის ოთახი სასტუმრო-სასადილოს ნაწილი იყო და სამზარეულოს ღია კამარით უკავშირდებოდა. ომის დროს კამარა სქელი მუყაოს ტიხრით ამოექოლათ. სამზარეულო ახლა სასადილოს მოვალეობასაც ასრულებდა — კარგა მოზრდილი ოთახი გახლდათ, სასადილო კი ოჯახის ერთადერთი მემკვიდრის სამყოფად ექციათ. ბიჭი ფიურერის არმიაში გაეწვიათ, ნორვეგიის ოკუპაციის დროს პირველსავე შეტაკებაში მოეკლათ. როიალთან მისი გადიდებული სურათი და სპორტული დაშნები ეკიდა. მუყაოს ტიხრზე მიდგმული იყო უბრალო, ჯარისკაცული რკინის საწოლი — გეორგს მშობლები სპარტანულად ზრდიდნენ.

ახლა შვილის ოთახი კაპიტან ჯილაურისათვის დაეთმოთ. რატომღაც რუს ოფიცერს ნდობით ეკცეოდნენ და თავიანთი შვილის სახელს ეძახდნენ.

კაპიტანი გაუხდელად მიწვა, შტაბის უფროსის ბრძანებით განთიადისას ერთერთ პოლკში საწვრთნელი განგაში უნდა მოეწყო, ეშინოდა არ დამეძინოსო და მაღვიძარა მომართა. ახლა თერთმეტს გადაცილებული იყო, რადიომიმღებიდან სასიამოვნო მუსიკა იღვრებოდა და მაცთუნებლად ულიტინებდა კაპიტნის სმენას.

ცნობისმოყვარეობის ცთუნებას ველარ გაუძლო, სარკეში თავითფეხამდე შეათვალიერა თავისი ორეული, ფრთხილად დააკაკუნა სამზარეულოს კარზე. — მობრძანდით! — შემოესმა დიასახლისის სასიამოვნო ხმა. იგი შევიდა, ქუსლი ქუსლს შემოჰკრა, იქ მყოფთ ამაყი თავის დაკვრით მიესალმა.

მოგიზგიზე ბუხრის წინ რბილ სავარძელში იჯდა შუა ხანს გადაცილებული მასპინძელი — ტრანსპორტის სამმართველოს ინჟინერი ჰელმუტ გეორგ ბიბი.

მასპინძლის მარჯვნივ, გრძელ დივანზე ისხდნენ ოჯახის ხიზნები — ფატერლანდის „აღმოსავლეთის მამულებიდან“ გამოქცეული მისი შინაყუდა კუზენი, ღარიბი მოხუცი მასწავლებელი თავისი ჯალაბით, რომლის სახლი ამერიკელებისა თუ ინგლისელების ავიაციის თავდასხმის დროს ბომბს დაენგრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებლის მეუღლე ფრაუ ჰილდე სათნო მანდილოსანი გახლდათ, ხოლო ქალიშვილი ურზულა იყო კაპიტნის მეგობარი, მუზეუმების დათვალიერებისას — გიდი, თავისუფალ საათებში კი გერმანული ენის რეპეტიტორი. მისი სამი წლის იუტა კი — სახლის ყველა ბინადარს ერთნაირად უყვარდა.

ოთახში იყო კიდევ ერთი სრულიად უცნობი ადამიანი, ოციოდე წლის გოგონა. იგი მასპინძლის გვერდით დაბალ სოფაზე იჯდა, აბრეშუმისფერთმიანი თავი მოხუცი ინჟინრის მუხლზე ჩამოედო და ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს ცრემლიანი თვალებით შესცქეროდა.

უცხო ახალგაზრდა ოფიცრის შესვლისთანავე გოგონა სწრაფად წამოდგა და კნიქსენით მიესალმა. ტანწერწეტას იისფერი, დიდი, ბრდღვიალა თვალები ჰქონდა, ნამდვილი ჯეირანი იყო! — კაპიტანმა თავაზიანად სთხოვა დაბრძანდითო. ისიც კვლავ სოფაზე მოკალათდა, თავის ძველ პოზაში.

— ო, გეორგ, რა კარგია, რომ ადრე მოხვედი! — მიეგება ურზულა, — დღეს ჩვენ ორმაგი დღესასწაული გვაქვს.

კაპიტანმა დიასახლისს შეხედა, რომელიც ნაღვლიანად იღიმებოდა.

— აიზენახიდან ჩვენი შვილის საცოლე — ამალია გვესტუმრა. იქ მის დეიდას პატარა საწვრილმანო დუქანი აქვს. ამალია ქალაქიდან ქალაქში დადის, დეიდასთვის საქონელს შოულობს. ისიც, იმის გარდა, რომ წილში გაჰყავს, დროდადრო ხუთ-ათ მარკას ზედმეტს აჩუქებს ხოლმე, გოგონა მზითვს იმზადებს. თანაც დღეს შობაა.... ბუხართან შევგროვდით, მუსიკით ვერთობით...

კაპიტანმა ცარიელ მაგიდას გადახედა, მერე დამხვდურებს შეხედა, რომლებმაც უხერხულად მოარიდეს მზერა.

— ომმა ყოველგვარი დღესასწაული ჩაგვიმწარა, მარტო მუსიკას თუ მოუსმენს კაცი, სამასლაათოც აღარაფერი დაგვრჩა, სულ ჩვენს გაურკვეველ მდგომარეობასა და გაჭირვებაზე ხომ არ ვიწუწუნებთ, — ისევ მოხუცმა მასწავლებელმა დაარღვია უხერხულობა, დაბრძანდით, ერთად მოვიწყინოთ.

— ერთი წუთით! — შესძახა კაპიტანმა და დერეფანში გავიდა. ორიოდე წუთის შემდეგ იგი კვლავ გამოჩნდა — გულზე სამი ბოთლი ალუბლის ლიქიორი მიეხუტებინა, იღლიაში შოკოლადის კანფეტების მოზრდილი კოლოფი ამოედო, მეორე ხელში — სიგარეტების მთელი შეკვრა და პარკით დაუფქვავი ყავა ეჭირა: უნდოდა საახალწლოდ დიასახლისისათვის სიურპრიზი შეერთმია, მაგრამ რაკი მოვლენები ასე მოულოდნელად განვითარდა, რაღა აზრი ჰქონდა, ახალი წლის ლოდინს.

— ჩვენი სტუმრის პატივსაცემად მომირთმევია! — მხიარულად შესძახა კაპიტანმა, — ორივე დღესასწაული ერთად აღვნიშნოთ!

— ო, თქვენ ჩვენი სანტა-კლაუსი, თქვენებურად — თოვლის პაპა ხართ, გეორგ, ეს რა უხვი ძღვენი მოგვართვით! — შესძახა გამხიარულებულმა დიასახლისმა. — აბა, მომეხმარეთ, სუფრა გავაწყოთ!

დიასახლისმა შინაყუდა კუზენს ყავა და საფქვავი შეაჩეჩა, თვითონ ფრაუ ჰილდესთან ერთად მხიარულად დაფაცურდა.

ურზულამ კაპიტანს მოხუცი მასპინძლის მარცხნივ მიუჩოჩა სავარძელი და ისიც მორიდებით ჩამოჯდა, მამაკაცებს ომამდელი თურქული სიგარეტი „სალამი" შესთავაზა. იგი თვითონ არ ეწეოდა, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის მუდამ ჰქონდა შემონახული.

თამბაქოს მონატრებული კაცები თავშეუკავებლად დააცხრნენ სიგარეტს — მათ ერზაცთამბაქოს სამ ღერ სიგარეტს აძლევდნენ კვირაში და „სალამის" გაბოლება შობა საღამოს მართლაც მეორედ დაბადებას უდრიდა.

მოხუცი ინჟინერი სიამოვნებით აბოლებდა სურნელოვან თუთუნს, მარცხენა ხელის გამხდარი თითებით კი ამალიას აბრეშუმისფერ თმებს ეალერსებოდა. გოგონა ისევ ისე იჯდა, ცრემლმორეული თვალები მოგიზგიზე ბუხრისთვის მიეშტერებინა.

— გეორგს და ამალიას ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და ჩვენც მოხარული ვიყავით, — უხერხული მდუმარება დაარღვია მოხუცმა მასპინძელმა. — ომმა ბოლო მოუღო ჩვენს ბედნიერებას... პირველსავე ბრძოლაში... ამოიხვნეშა მოხუცმა და კაპიტანმა შენიშნა, როგორი მამაშვილური მოსიყვარულე თვალებით უმზერდა იგი ერთადერთი მემკვიდრის ყოფილ საცოლეს. — ახლა ამალია თავისუფალია, შესაფერ საქმროს მოძებნის, აბა, მონოზნად ხომ არ აღიკვეცება. ჰოდა, წვალობს, საბრალო, დღესა და ღამეს ასწორებს... მამამისიც ომმა შეიწირა...

ერთხანს სულის შემაძრწუნებელი მძიმე დუმილი ჩამოწვა. ყველა თავის ფიქრებს მისცემოდა. მყუდროებას მხოლოდ ბუხრის თავზე შემოდგმული ბრინჯაოს საათის წიკწიკი არღვევდა. დიასახლისმა უხერხული დაძაბულობის გასაქარვებლად ბროლის ჭიქები შვინდისფერი ლიქიორით შეავსო და ყველას ჩამოურიგა.

— პროზიტ! — წამოიძახა შინაყუდამ და ჭიქა სულწასულად გამოცალა. კაპიტანი ფეხზე წამოდგა:

— ქართველი გახლავართ — გეორგიში! თქვენი შვილის სახსოვრად მის სახელს მეძახით, მისი ოთახი დამითმეთ. ეს ბევრს მავალებს. ქართული ადათის მიხედვით, სუფრაზე სადღეგრძელოებს თანამიმდევრობით წარმოვთქვამთ: — მშობლების, მშობლიური მიწის, საყვარელი ადამიანების. იმათაც გავიხსენებთ ხოლმე, ვინც მამულისათვის თავი გასწირა და ახლა ჩვენგან შენდობას მოელის... მოდით, ჩვენს შინმოუსვლელ ბიჭებს გაუმარჯოს, პატიოსნად რომ ატარეს ჯარისკაცის, ნამდვილი ადამიანის სახელი.

— ალავერდი! — თქვა და შესვა.

— პროზიტ! — გაიმეორა ყველამ, მერე ხარბად გააბოლეს სიგარეტი.

— მალე ყავას მოგართმევთ, — გამოაცხადა დიასახლისმა, — გეორგს უნდა ვუმარჩიელო ყავის ჭიქაში, გავიგოთ, რანაირი ბედი ექნება...

მოხუცი ინჟინერი კვლავ ამალიას თმებს ეფერებოდა, ალბათ თავისი მეუღლისა და შინმოუსვლელი შვილის მაგივრადაც სამუდამოდ ემშვიდობებოდა სარძლოს, მერე უბიდან თხელი, გაცრეცილი საფულე ამოიღო, ძველი ხუთმარკიანი კუპიური ამოაძვრინა და გოგონას გაუწოდა.

ამალიამ გამოართვა ბანკნოტი და მოკრძალებით ეამბორა მოხუცი ინჟინრის გამხდარ, სანთლისფერ ხელს.

— ეს ჩემგან სამზითვოდ მიიღე, შვილო... — ნაღვლიანად ამომარცვლა მოხუცმა ჩამქრალი, დატანჯული ხმით.

...კაპიტანმა დაუფიქრებლად გახსნა საველე ჩანთა, იმ დღეს მიღებული ხელფასი — თხუთმეტი ცალი ათასმარკიანი ბანკნოტი ამოიღო, მარაოსავით გაშალა და ამალიას გაუწოდა.

— ამოირჩიეთ ერთი ცალი, თქვენი ბედნიერებისა იყოს...

— ამალიამ შუათანა ტკიცინა კუპიური ამოაძვრინა და ნომერს დახედა. ექვსი შვიდიანი იყო ზედ აღბეჭდილი.

— ქართველებისათვის შვიდიანი წმინდა რიცხვია, ექვსი შვიდიანი კი... იყავით ბედნიერი, თქვენს სამზითვოდ მომირთმევია! — აღტაცებით შესძახა კაპიტანმა.

— ჰერ კაპიტან, ეს წარმოუდგენელია, შეუძლებელია, უკეთ — არ შეიძლება ამდენი ფულის ჩუქება, მსმენია — ქართველები ხელგაშლილები არიანო, მაგრამ ეს უგუნურობაა, ფუჭსავატობაა... ეს... ეს ხომ მთელი სიმდიდრეა. თქვენ ფულის ყადრი არ იცით... რასაც ჩემს სახლში ქონებას ხედავთ, ორი ათასი მარკაც არა ღირს... — ასავსავებდა ხელებს მასპინძელი.

— ჩვენთან, საქართველოში ყველაფერი შეიძლება! — ამაყი ტრაბახით წარმოსთქვა კაპიტანმა, — ვისაც რამდენი სურს და შეუძლია, და ზოგჯერ, არც შეუძლია, იმდენს ჩუქნის. მსურს მშვენიერ ამალიას ვუსურვო ბედნიერება, რომ აღარ მოუხდეს ქალაქიდან ქალაქში საწვრილმანოს საშოვნელად ხეტიალი, ხუთი-ათი მარკობით მზითვის შეგროვება. ამასობაში იგი მოხუცდება და ვის რაღაში გამოადგება, ან ის რაღა ბედნიერება იქნება?

კაპიტანი უცბად გაჩუმდა, მერე ბანკნოტების მარაოდან, რომელიც ისევ ხელში ეჭირა, ორი კეწკეწა ათასმარკიანი კიდევ ამოიღო და დაბნეულ, გაოცებისაგან ენაწართმეულ გოგონას ხელში ჩაუდო.

— ჭეშმარიტად ბედნიერი იყავი, ანგელოზო, დაე, შენი შვილები არ შეესწრონ ომის საშინელებას, შიმშილს, სიობლეს, დამცირებას... — შემდეგ ყველას ამაყად თავი დაუკრა, ბოდიში მოიხადა — ხვალ დილაუთენია უნდა ავდგეო, ღამე მშვიდობისა უსურვა და ოთახიდან გავიდა.

...კაპიტან ჯარჯი ჯილაურს უცბად გამოეღვიძა, უფრო სწორედ — რაღაც უცნაურმა ხმაურმა გამოაღვიძა: ეტყობა, მუყაოს ტიხარს მიღმა, ძველ დივანზე ვიღაც იწვა, არ ეძინა, მოუსვენრობდა, ზამ-

ბარები საცოდავ ხმას გამოსცემდნენ. დღევანდლამდე იმ დივანზე არავინ იწვა — მასპინძლებისა და ხიზნების საძინებელი ოთახები მეორე სართულზე იყო...

— ნუთუ სტუმარია? — გაუელვა თავში კაპიტანს. — იმას რაღამ დაუფრთხო ძილი?

მერწმუნეთ, ოცდაორი წლის გვარდიის კაპიტნის ადგილზე წმიდათაწმიდა მამაზეციერიც რომ ყოფილიყო, ისიც კი ვერ გაუძლებდა ცთუნებას თუ ტიხარს მიღმა ასეთ ღვთიურ ანგელოსს დაიგულებდა. და აბა, წარმოიდგინეთ, რა დაემართებოდა ჭაბუკ ოფიცერს, რომელსაც ძარღვებში კახური საფერავის მაჭარი უდუღდა?

კაპიტანი თვალებდაჭყეტილი იწვა, ფიქრობდა და გონივრული ვერაფერი მოეფიქრებინა. დარწმუნებული იყო, რაღაც უნდა გაეკეთებინა, მაგრამ კონკრეტულად რა უნდა მოემოქმედა, ვერ მოესაზრებინა. სურდა დაეძინა, ყველაფერი ლამაზი ზღაპარივით დაევიწყებინა, მაგრამ ცთუნების ეშმაკი არ ასვენებდა. უჩიჩინებდა, უღიტინებდა და ისიც მოუსვენრად წრიალებდა ლოგინში, როგორც მისი ტიხარსმიღმელი მეზობელი.

მოულოდნელად რაღაც იდუმალმა ხმამ გამოაფხიზლა:

— „თავი ნუ დაკარგე, ყმაწვილო! ხომ არ დაგავიწყდა, ვისი გორისა ხარ, ან აქ, სამშობლოდან ამსიშორეს, რა მისიით მოსულხარ? რა უფლებით ლამობ ამ უბედური ადამიანების თვალწინ მათი ყოფილი სარძლოს შერცხვენას! როგორღა გინდა შეხედო ამ კეთილ ხალხს? გრცხვენოდეს! მათ ხომ შვილივით მიგიღეს ოჯახში!.."

შემკრთალმა თავზე საბანი წაიფარა, რომ მეზობლის გაუთავებელი წრიალი, ძველი დივანის ზამბარების ჩუმი მოთქმა აღარ გაეგონა. არა, იქნებ სულაც ამალია არ დაუწვენიათ, — გაუელვა გუმანში — მართალია, ოჯახის უფროსები მას ზრდილ, თავაზიან ახალგაზრდად მიიჩნევდნენ, მაგრამ ოფიცერი მაინც ოფიცერია, თანაც გამარჯვებული არმიის ოფიცერი, და ოდნავ შეზარხოშებულიც... რა დაუფიქრებლად იქცეოდა! ალბათ, გოგონას მთლად აებნა გონების დავთარი. ჰოდა, განა გაბედავდნენ „მგლის გვერდით საადგომო ბატკნის დაბმას!" არა, შეუძლებელია! ადვილი საფიქრებელია, რომ შინაყუდამ, მოხუცმა მასწავლებელმა ან თვით მასპინძელმა დაუთმო საწოლი ყოფილ სარძლოს.

კაპიტანს შერცხვა თავისი დაულაგებელი აზრებისა, რომლებიც თავში ჭიანჭველებივით უფუთფუთებდნენ.

...ტიხარს იქით კი არ ეძინა მეზობელს, გავარვარებულ ნაღვერდლებზე დადებული შამფურივით ტრიალებდა, ვერ ისვენებდა და არც საბრალო კაპიტანს ასვენებდა...

უცბათ შტაბის უფროსის მოადგილის მაიორ ლენცის სიტყვები გაახსენდა, რომელიც შტაბის ახალგაზრ და ოფიცრებს სალდათური ეთიკის ანბანს ასწავლიდა:

— თქვენა, ცინგლიანებო, რა გინა^ავთ ამქვეყნად? არაფერი! ქალაქში დაალაჯებთ, ლუდსა წრუპავთ და შავოსანი ბერებივით ზონზროხა ტიურინგიელ დედაკაცებს უესცქერით. გერმანელებს ერთი ასეთი ადათი აქვთ: სანამ გოგო გათხოვდებოდეს, მზითევი თვითონ, საკუთარი შრომით, შნოთი და მარიფათით უნდა შეიგროვოს, რა გზითა და საშუალებით — მისი საქმეა. შეიძლება თავისი ოფიციალური საქმროს მეგობართანაც „გაისეირნოს", ბიძაშვილ-მამიდაშვილებთანაც არ ითაკილოს დროსტარება... მაგრამ, როგორც კი საკმაო თანხას შეაგროვებს, საქმროსთან მიდის და ეუბნება საქორწინოდ მზადა ვარო და ჯვარს იწერენ. მერე — „შლუს!" — კლიტეს დაიდებს... ასეთია ამათი ეთიკა.

ჰოდა, ჩემო ძვირფასო დოყლაპიებო! ულვაშზე დაიხვიეთ ჩემი ნაუბარი: სანამ აქ ეს ადათი ძალაშია, დროს ხელიდან ნუ გაუშვებთ, ისარგებლეთ! — დაამთავრა მაიორმა შეგონება, ეშმაკურად ჩაიქირქილა, დაბნეულ ბიჭებს თვალი ჩაუკრა და მისთვის ჩვეული ნაბიჯით გაუტია.

...ვინ იცის, იქნებ მაიორი ლენცი არც ხუმრობდა! გამოცდილი კაცია, გერმანელებთან ორ ომში მონაწილეობდა და... დაეჯერება... მაგრამ, ნუთუ ამალია ახლა ასე ახლოს სპეციალურად დააწვინეს, რომ ღამით კაპიტანი მიუცუცქდეს და დანარჩენი ათასმარკიანებიც... ჰა?!

საკითხის ასერიგად შემობრუნება ახალგაზრდა გაურყვნელი ქართველი კაცის თავში ახსნას ვერ პოულობდა. იგი არმიაში მოხალისედ წავიდა, თავისი სატრფოსათვის დამშვიდობებისასაც კი არ უკოცნია. ახლა ასეთი რამ შეემთხვა და დაბნეულმა აღარ იცოდა რა ექნა. იგი უნამუსოდ ვერ მოიქცევა, თავს ვერ შეირცხვენს და ვერც ამ ღვთაებას დაამცირებს!.. ან თვალით როგორღა შეხედოს ამ ადამიანებს?!!

ამ ფიქრებმა კაპიტანი ზეციდან დედამიწაზე ჩამოიყვანა და ახლა სხვა აზრი აეკვიატა: მაიორმა ლენცმა მართალი თქვა თუ გაეხუმრა გამოუცდელ ახალგაზრდა ოფიცრებს?

ცნობის წადილი ჰკლავდა. აერია თავში ყველაფერი, სად მართალი იყო, სად მონაჩმახი ხუმრობა, ვერ გაერკვია. მაგრამ ძალზე ეწადა დარწმუნებულიყო, რომ იმ ბებერმა ნაკაზაკარმა იხუმრა, რომ ასეთი ველურობა სინამდვილეში არ ხდება.

...მაგრამ ტიხარს მიღმა, შამფური რომ განუწყვეტლივ ტრიალებდა და გავარვარებულ ნაკვერჩხლებზე ბატკნის მწვადი იწვოდა?!

ნუთუ ტიხარს მიღმა ამალია წევს „იმ მიზნით", მაშინ ოთახის კარიც ღია უნდა დაეტოვებინა! — გაუელვა თავში კაპიტანს. — თუ ბეხრეკი შინაყუდა, მოხუცი მასწავლებელი ან ინჟინერი? — მაშინ დაკეტილი იქნება!

შემოწმებაზე ადვილი რა არის? თუ ვინმე შეეფეთა, მიხვდება — რაკი ჩაცმულია, ალბათ ნაწილში მიდის დავალების შესასრულებლადო...

ამის გაფიქრება და შესრულება ერთი იყო. საველე პლანშეტიდან ორი ათასმარკიანი ბანკნოტი ამოიღო, კონვერტში ჩადო და სალამური მკრთალი ნათურით ოდნავ განათებულ დერეფანში ფეხაკრეფით გავიდა. ფეხის წვერებზე მიდიოდა, სამზარეულოს კართან შეჩერდა, სახელურს ხელი მოჰკიდა, მაგრამ გაღებას ვერ ბედავდა, მუხლებში ძაბუნი ჩაუდგა, გული ბაგაბუგით უცემდა, ეგონა მთელ სახლში ისმოდა მისი გულის ძგერა...

...კარის სახელური თავისით მოტრიალდა... მერე ძველი დივანის ზამბარების კვნესა შემოესმა...

კაპიტანი ერთხანს კერპივით გაქვავებული იდგა, დაბნეული, ჩაფერფლილი, ჩათუთქული გულიდან ოხვრაღა აღმოხდა. მერე გამოერკვა, კონვერტი კარის ღრიჭოში მოაყოლა და გაიხურა. მაჯის საათს დახედა — შტაბის უფროსის დავალების შესრულებამდე სამი საათი კიდევ იყო დარჩენილი. ასე ადრე მისვლას აზრი არ ჰქონდა. ერთ „რამდენიმე წუთს კიდევ წავყვინთავო", გაიფიქრა და საწოლზე პირქვე დაემხო.

...ჯარჯი ჯიღაური ღრმა ძილისაგან მაღვიძარას ბრაზიანმა წკრიალმა გამოაღვიძა. ორიოდე წუთში უკვე მზად იყო. სახლში ნეტარი მდუმარება სუფევდა. ტიხარს მიღმა მეზობელი აღარ შფოთავდა, ეტყობა... მწვადი დაიწვა და ნაღვერდალიც ჩაიფერფლა...

მეზობელი რომ არ გაეღვიძებინა, კაპიტანმა ფრთხილად გამოაღო ოთახის კარი. იატაკზე მისეული კონვერტი დავარდა. გულმა რეჩხი უყო, დაწვდა. შიგ ხუთი ათასმარკიანი ბანკნოტი და ბარათი იდო:

ძვირფასო გეორგ!

თქვენ ძალიან, ძალიან კარგი, კეთილი და წმიდა ჭაბუკი ხართ. გმადლობთ დედოფლური მზითვისათვის, მაგრამ მე იგი არ დამიმსახურებია! გახსოვდეთ: არასოდეს დამავიწყდებით...

მაგრამ, ერთი რამ მაოცებს: ასეთმა ლაჩრებმა, როგორ დაამარცხეთ ჩვენი უძლეველი არმია?!

მშვიდობით! ამალია..."





# სხივი მადლისა

ნიჭიერმა მოქანდაკემ ლამარა ქველიძემ უკვე კარგა ხანია ქართულ სახვით ხელოვნებაში საპატიო ადგილი დაიკავა. მან 1965 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტი ნ. კანდელაკის ხელმძღვანელობით. დაკვირვებულ პედაგოგს შეუმჩნეველი არ დარჩენია მისი ნიჭიერება და შრომისმოყვარეობა. მას მოსწონდა მოსწავლის სერიოზული დამოკიდებულება დიდი და მცირე ფორმების პლასტიკური გამომსახველობისადმი. ალბათ, ამიტომაც ხვდა წარმატება ლამარა ქველიძის სადიპლომო ნამუშევარს „შემოდგომა". აქედან მოყოლებული მისი ნამუშევრები ყოველთვის მოწონებით სარგებლობს.

ლ. ქველიძის ქანდაკებაში რეალური სამყარო სიმბოლურად, განზოგადებულად არის წარმოსახული. მოქანდაკე ფიგურას მთლიანი მოცულობითი ფორმების ჰარმონიულობით ქმნის. ამიტომ მისი მცირე მოცულობის პლასტიკური ფიგურებიც მონუმენტურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთია მისი „გიორგობისთვე", „ქალიშვილი მზესუმზირით", „ზრუნვა ყველას სჭირდება", „ქალის ტორსი" და სხვა. დიდი წარმატება ხვდა მარაბდაში დადგმულ მემორიალს „9 ძმა ხერხეულიძე".

ცალკე თემაა ლამარა ქველიძის სამედალო ხელოვნება. საქართველოში მისი განვითარების საქმეში მხატვარ ქალს დიდი წვლილი მიუძღვის, რომლის თაოსნობითაც ეწყობა სამედალო ხელოვნების რესპუბლიკური გამოფენები.

მედალი — მცირე პლასტიკის ეს ფორმა, განსაკუთრებულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რამეთუ მასშტაბების „შეზღუდულობა" ერთგვარად ზღუდავს მხატვარს კომპოზიციისა თუ ადამიანის შინაგანი ფსიქოლოგიის გადმოსაცემად. ეს სიძნელე ლამარა ქველიძის მედლებში დაძლეულია, რაც მის მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს.

მხატვრის სამედალო ხელოვნებას პირველი საერთაშორისო აღიარება მოუტანა პარიზში გამართულმა მსოფლიოს ღია კონკურსმა — „მედლის აღორძინება — 1974 წელი", სადაც მისმა მედალმა „ომში დაღუპულ მებრძოლთა დედებს", სპეციალური პრიზი მიიღო მრავალფეროვნებისა და მაღალი ოსტატობისათვის.

ლამარა ქველიძეს შესრულებული აქვს ილიას, აკაკის, ვაჟას, ბეთჰოვენის, მოცარტის, ვაგნერის, ჯოისის, ჯორჯონეს, პიკასოს, გოეთეს და სხვათა პორტრეტები.

აღსანიშნავია, რომ გოეთეს ქველიძისეული პორტრეტის ორიგინალი ქ. ვაიმარის გოეთეს სახელობის სახლ-მუზეუმში ინახება, „პიკასოს" ორიგინალი საფრანგეთის „ცისფერი სანაპიროს" პ. პიკასოს სახლ-მუზეუმშია, „არისტოტელე" ათენის მეცნიერებათა აკადემიაში დაბინავეს, „ჯეიმს ჯოისი" — დუბლინის მარტელოს კოშკში, „კოპერნიკი" — ვროცლავის სამედალო ხელოვნების მუზეუმში, „ლ. მესხიშვილი" — ოტავის კერძო კოლექციაში.

ლამარა ქველიძის მედლების მრავალრიცხოვან თემატურ ციკლში განსაკუთრებით გამოირჩევა დედობის თემა, რომელიც სცილდება კონკრეტულობას და განზოგადებულ ფილოსოფიურ ხასიათს იღებს, მაგ. კომპოზიციაში „ნერგი" ქალისა და ნერგის სახით წარმოსახულია სიცოცხლის მარადიულობა, მომავალი, სიკეთე...

უკანასკნელ ხანებში დიდი წარმატება ხვდა წილად მხატვრის სამედალო ხელოვნების პერსონალურ გამოფენას ქ. ბუდაპეშტში, სადაც ქართული ხალხური მელოდიების თანხლებით ამაღლებულად აღიქმებოდა ჯვრისა თუ სამთავროს, სვეტიცხოვლისა თუ ნიკორწმინდის სილუეტები, შ. რუსთაველის, ვახტანგ VI-ის, გ. ტაბიძის, ი. ჯავახიშვილის უკვდავი სახეები.

მხატვარს აქტიური შემოქმედებითი ურთიერთობები აქვს იტალიელ ლუიჯი მაგაროტოსთან, კანადელ შაინ ბრაინთან, ამსტერდამელ ჟანეტ კოლბთან, უნგრელ ლივია პოგაბაისთან, ბელგიელ ჟან ბლანკოვთან, ირლანდიელ ხილარი რიჩარდსონთან... ბევრი მათგანი მხატვარს სთხოვს შეასრულოს მისი ქვეყნის გამოჩენილ მოღვაწეთა პორტრეტები.

ლამარა ქველიძე ნაყოფიერ მუშაობას ეწევა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, სადაც სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებს ასწავლის ხატვას. გთავაზობთ ნაწყვეტს კრასლავის გაზეთ „ზარია კომუნიზმიდან", რომელიც მიეძღვნა ა. წ. თებერვალში ლატვიაში გამართულ ლამარა ქველიძის სამედლო ხელოვნების პერსონალურ გამოფენას. „ამაღელვებელი იყო შეხვედრა დამსახურებულ მხატვართან ლ. ქველიძესთან, რომელიც დარბაზში შემოვიდა ლატვიის ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილ ჭაბუკებთან ერთად. მხატვარმა მოაჯადოვა დარბაზში მყოფნი თავისი სილამაზითა და ელეგანტურობით. მან დარბაზში უხვად შემოიტანა თავისი ქვეყნის სითბო, სიკეთე და მეგობრობა".

დასასრულს მინდა მოვიყვანო აკადემიკოს გ. ჯიბლაძის სიტყვები: „თუ გაივლით ამ ოსტატის ნამუშევართა ხეივანში, ყველგან მოგანათებთ იმ მადლის სხივი, რომლის ამოფრქვევა მარტო იმ ფენომენს შეუძლია, ჩვენ რომ ჭეშმარიტ ხელოვნებას ვუწოდებთ".

ია ესვანჯია, ხელოვნებათმცოდნე.



ტორსი



ჩემი საქართველო



ვაჟა ფშაველა



იაკობ ნიკოლაძე

თამარ მეფე









ვახტანგ VI

გიორგობისთვე



ილია ჭავჭავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაბომბვის არ გვეშინია



ოცნება

პუშკინი





## დიდი თეატრის სოლისტი



ამბობენ, ძნელია პოპულარულ პიროვნებაზე წერაო და მართალიც არის. ძნელია, რადგან მისი უკვე ყველამ თითქმის ყველაფერი იცის. ასეა ამ შემთხვევაშიც: რომელიც გნებავთ თეატრალი თუ ხელოვნებისმოყვარული სიამოვნებით მოგითხრობთ ნინო ანანიაშვილის გამორჩეულ წარმატებებზე. მის ე. წ. „საცეკვაო ბიოგრაფიას". მაგრამ ცოტამ იცის, რომ პატარა ნინიკო ჯერ კიდევ სამი წლისა იყო, მამას რომ დაჰყვებოდა ექსპედიციაში (მისი მამა და ორივე ძმა გეოლოგები გახლავან), ამჟღავნებდა უდიდეს ნებისყოფას, ძალას, ამტანობას და არამც თუ მხოლოდ ეხმარებოდა ექსპედიციის წევრებს, არამედ თავისუფალ დროს კონცერტებს უმართავდა და ართობდა კიდეც. ეს ნაზი, ჰაეროვანი გოგონა თავიდანვე გამოირჩეოდა გრაციით, პლასტიკით, სპორტული ნიშნებით, ფიზიკური ამტანობით და მონდომებით (აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ნინოს სპორტული ნიჭის განვითარება-დახვეწის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით მის ძმებს, რომელნიც ხშირად ავარჯიშებდნენ ამ კაფანდარა, მაგრამ საოცრად მოქნილ გოგონას). სწორედ ამის გამო მამამ იგი უნივერსიტეტის ტანვარჯიშის სექციაში ნაცნობ მწვრთნელთან მიიყვანა, მაგრამ დახეთ უბედობას (თუ ბედს!) — სექციაში მხოლოდ ექვსწლიანებს იღებდნენ, ნინო კი მხოლოდ ხუთისა იყო. გადაწყდა: ერთი წელი ფიგურული სრიალის სკოლაში უნდა ევლო...

სამაგიეროდ, ნინო ანანიაშვილის ბიოგრაფიის ამ მონაკვეთიდან დღემდე უკვე ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ გამოარჩია ნიჭმა და შრომისმოყვარეობამ ეს ციცქნა გოგონა, რომელიც მომხიბვლელად ასრულებდა ყინულზე სპეციალურად მისთვის დადგმულ „მომაკვდავი გედის" დრამატიზმით აღსავსე ცეკვას და როგორ აიძულეს მისი მშობლები გოგონა ქორეოგრაფიულ სასწავლებელში გადაეყვანათ. ისიც ყველამ იცის, თუ როგორ გაუმართლდა ნინოს იმედი (ასე ითქმის, თორემ ეს გამართლებაც მისი შრომის ლოგიკური გაგრძელება იყო). იქაც შენიშნეს, გამოარჩიეს და მოსკოვში გაგზავნეს სწავლის გასაგრძელებლად... შემდეგ კი დიდი თეატრი, კონკურსები, ოქროს მედლები, სოლო პარტიები, მოგზაურობები, ტრიუმფები.

ბალეტის ხელოვნებაში ცოტათი თუ ბევრად ჩახედულმა ყოველმა ადამიანმა იცის, რა მკაცრი და დამქანცველია ბალერინას დღის რეჟიმი, როგორი რთული, შრომატევადი და ზოგჯერ გაუსაძლისიც კია რეპეტიციები დილიდან საღამომდე, სპექტაკლები, კონცერტები, შემდეგ ისევ რეპეტიციები. ასე გრძელდება ყოველდღე, ამიტომაც ხუმრობენ მისი ოჯახის წევრები, ნინომ კარგად არც კი იცის მოსკოვი, მან მხოლოდ დიდი თეატრი და სახლი იცისო. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობაა, მაგრამ მას დიდი სიმართლეც აქვს — ხელოვნების ღმერთი მართლაც დიდ მსხვერპლს მოითხოვს, უამრავ დროს, ბევრ სიამოვნებაზე უარის თქმას, სამაგიეროდ კი — ჯოჯოხეთურ შრომას. და რაოდენ დიდი ბედნიერებაა, როცა დაგიფასდება ყოველივე ეს!

ნინო ყოველი გასტროლების შემდეგ აღფრთოვანებული, უცხოური პრესით დატვირთული უბრუნდება საყვარელ თბილისს, თავის სახლს ბელინსკის ქუჩაზე, მაგრამ აქაც არ ასვენებენ: კონცერტები, პრესა, რადიო, ტელევიზია, ინტერვიუები, ხშირად ბილეთებისთვისაც კი ურეკავენ სრულიად უცნობები, მარტო თბილისში კი არა, — მოსკოვშიც.

თვითონ განსაჯეთ, ნინო უკვე ოთხგზის ლაურეატი გახლავთ, თანაც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უპირველესი თეატრის — დიდი თეატრის სოლისტი და პრიმა ბალერინაა, ამ ორიოდე თვის წინათ ერთბაშად ორი სიხარული ეწვია: რსფსრ დამსახურებული არტისტისა და საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდებები მიენიჭა, და ეს ყველაფერი, — ოცდაოთხი წლის ასაკში. თუმცა მან წარმატებებით იმდენად გაანებივრა თავისი თაყვანისმცემლები, რომ აღარ გვიკვირს, ოქროს მედლით რომ იმშვენებს მკერდს უძლიერეს კონკურსებზე. აი, ასე დაუფასდა გარჯა და ამაგი ნინო ანანიაშვილის საყვარელ ბებიას, საქართველოს სსრ დამსახურებულ ექიმს ეკატერინე ხოჯოლავას, რომელმაც უყოყმანოდ მაშინვე დატოვა თბილისი, სამსახური, ოჯახი და შვილიშვილს გაჰყვა მოსკოვში. მაშინ ბებიამ რა იცოდა, რომ ნინოსთან ერთად მოხვდებოდა დიდი თეატრის ისტორიაში. ახლა კი უკვე ისიც შეეჩვია პოპულარობას, მილოცვებს და იმასაც, რომ, თუკი ეს მოუსვენარი ჟურნალისტები ნინოს ვერ მოიხელთებენ სასაუბროდ, ბებიისაგან იღებენ ინტერვიუს.

ნინომ ქვეყანა აალაპარაკა თავისი ხელოვნებით, მაგრამ თავად კი უცვლელი დარჩა — სათნო, თავმოდრეკილი, ბეჯითი, გამგონე, მოსიყვარულე, მეგობრებისათვის გულგახსნილი. სწორედ ასეთი გაიცნეს და შეიყვარეს დიდ თეატრშიც.

ტრიუმფი გრძელდება, მაგრამ დაღლილდაქანცულ ნინოს შუაღამემდე მაინც არ დაეძინება, მოენატრება თბილისი, მშობლები, ძმები, ტოლ-მეგობრები, ქართული ლექსი, ისე მოენატრება, რომ ფრთხილად, ფეხაკრეფით, რომ ბებო არ გააღვიძოს, გამოიტანს გალაკტიონის ან ანა კალანდაძის ლექსების კრებულს და დიდხანს, დიდხანს კითხულობს. ამ დროს ალბათ აგონდება, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ამ ლექსებს სიამოვნებით კითხულობდა თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში.

ნინო ანანიაშვილი ისევე სისხლხორცეულად არის დაკავშირებული პოეზიასთან, როგორც თავის სამშობლოსთან და როგორც საყვარელ საქმესთან...

ირინე კუკავა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მაესტრო ნინო

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ჟელტუხინი დაიბადა ბათუმში, სწავლობდა ნიჟნინოვგოროდის კადეტთა კორპუსში, მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. როცა სამოქალაქო ომი დაიწყო, ბუდიონის ცხენოსანთა არმიას მიაშურა. ომის შემდეგ თბილისში დაბრუნდა და მუსიკალურ მუშფაკში მოეწყო. შემდეგ კი სწავლა თბილისის კონსერვატორიასთან არსებულ სადირიჟორო კურსებზე განაგრძო. მოგვიანებით ქალაქის მილიციის სასულე ორკესტრის დირიჟორი გახდა. იყო დაბალი, ჩასკვნილი, მხედრულად გამართული. გამომეტყველება მხნე და კეთილი ჰქონდა. ქალაქში არცერთი ზეიმი არ ჩატარდებოდა, მას რომ თავის მუსიკოსებთან ერთად მონაწილეობა არ მიეღო. პარკებში ყველგან გაისმოდა „მანჯურიის სოპკებზე" ან „ცისფერი დუნაის ტალღები" „ჟელტუხინის ორკესტრის" შესრულებით. დროთა განმავლობაში ნიკოლოზ ჟელტუხინი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გახდა, დააჯილდოვეს ლენინისა და წითელი დროშის ორდენებით. სიცოცხლის ბოლო წლებში მას ებმარებოდა შვილი ალექსანდრე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებული, რომელიც ჯერ ორკესტრის ზემდეგი იყო, შემდეგ კი მამა შეცვალა სადირიჟორო პულტთან.

მას შემდეგ თითქმის ოცდაათი წელი გავიდა. ამ დროის განმავლობაში ზემდეგი ჟელტუხინი გახდა პოლკოვნიკი, კომპოზიტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, მაგრამ, რაც ყველაზე უფრო მთავარია, იგი შეიყვარეს ტალანტის, მხიარული, გულგახსნილი ბუნების გამო, შეიყვარეს მისი სტუმართმოყვარე ოჯახიც, სადაც თითქმის მუდამ ჟღერდა მუსიკა. ცოლიც და მისი ორივე ქალიშვილი მუსიკოსები არიან. და აი, დიდების მწვერვალზე ყოფნისას ის გარდაიცვალა... მამის სიკვდილი ქალიშვილებმა მოსკოვში გაიგეს — უმცროსი ირინე, კონსერვატორიაში სახელმწიფო გამოცდებს აბარებდა, ხოლო უფროსი — ნინო, მას „გულშემატკივრობდა". დამწუხრებული ირა და ნინო თბილისში დაბრუნდნენ.

...ორი თვის შემდეგ თბილისის მთავარ მოედანზე საპირველმაისო პარადი იყო. ტრადიციისამებრ იგი რესპუბლიკის დამსახურებულ კოლექტივს — ქალაქის აღმასკომის მილიციის ორკესტრს უნდა დაესრულებინა. მაგრამ უჟელტუხინოდ? ალბათ სხვა კოლექტივს აირჩევენ? არა! „ჟელტუხინის ორკესტრი" მაინც გამოვიდა მოედანზე. მას წინ მიუძღოდა ნინო ალექსანდრეს ასული ჟელტუხინა. მკაცრი; გამოკვეთილი ნაბიჯებით გაიარა ნინომ ტრიბუნის წინ. როცა მას გასცდა, უძლური ბავშვივით ატირდა — ზედმეტი დაძაბულობისაგან, სიხარულისაგან, მწუხარებისაგან.

...ერთხელ, როცა თბილისის გამარჯვების პარკში ვსეირნობდი, მწვანე ფოთლებს მიღმა ვალსის ნაზი ხმა გავიგონე, სასულე ორკესტრი უკრავდა. მივუახლოვდი, ვხედავ: ღია ფიცარნაგზე, სადირიჟორო პულტთან მილიციის კაპიტნის ფორმაში გამოწყობილი თხელი, მოხდენილი ქალიშვილი დგას. ეს ხომ ნინო ჟელტუხინაა! ვალსს მხიარული მარში მოჰყვა, (როგორც მერე გაირკვა, ეს იყო მამის ნაწარმოები), შემდეგ — „მანჯურიის სოპკებზე". კონცერტი დამთავრდა. მივდივარ ნინოსთან, ვთხოვ რამდენიმე სიტყვა მითხრას მამის შესახებ, თავის საქმიანობაზე.

— მამა ამაყობდა ჟელტუხინების დინასტიით, მას ყოველთვის აინტერესებდა ჩვენი გვარის გენეალოგია. 1812 წლის ომის გმირთა შორისაც კი იპოვა ორი გენერალი ჟელტუხინი. მე, როგორც ჩანს, მამისგან ბევრი რამ გადმომეცა, რაც მთავარია, მუსიკის სიყვარული. დავამთავრე კონსერვატორიის თეორიულ-საკომპოზიტორო განყოფილება, ახლა ვდირიჟორობ ორკესტრს და ვფიქრობ, რომ ჟელტუხინთა მუსიკალური დინასტიის უკანასკნელი რგოლი არა ვარ.

ᲘᲐ ᲛᲔᲡᲮᲘ

ჟურნალ „ოგონიოკიდან".

# ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲘᲗ

რედაქციას დახმარება სთხოვა მოქალაქე მ. ბოსიკაშვილმა. იგი მარტოხელა დედაა, ზრდის ორ შვილს, მუშაობს თბილისის საცდელ ქარხანა „აგრეგატში", აქვს უმძიმესი საბინაო პირობები, არის ბინის აღრიცხვაზე.

რედაქციამ გაითვალისწინა მარტოხელა დედის გაჭირვება და რეალური დახმარებისათვის მიმართა თბილისის საქარხნო რაიონის ქალთა საბჭოს.

საქარხნო რაიონის ქალთა საბჭომ თავის მხრივ შეისწავლა მ. ბოსიკაშვილის საოჯახო პირობები და აღძრა შუამდგომლობა საქარხნო რაისაბჭოს აღმასკომის წინაშე.

აღმასკომის სხდომაზე გაითვალისწინეს მ. ბოსიკაშვილის მძიმე მდგომარეობა, ისიც, რომ ის მარტოხელა დედაა და ამიტომ დროებით საცხოვრებლად გამოუყვეს ერთოთახიანი გამოთავისუფლებული ბინა ლოჭინის დასახლების მეორე კორპუსში.

საბოლოოდ მ. ბოსიკაშვილს ბინით დააკმაყოფილებენ არსებული საბინაო კანონმდებლობის შესაბამისი რიგის დაცვით.

* * *

რედაქციაში დახმარებისათვის მოვიდა წალენჯიხის რაიონის სოფელ ნიკიფუს მცხოვრები ვ. ლემონჯავა პატარა ბავშვით (წლისა და ორი თვის ბავშვი ჰყავს), არ მუშაობდა, არც ბინა ჰქონდა, საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა.

რედაქციამ ვ. ლემონჯავას განცხადება რეალური დახმარებისათვის წალენჯიხის რაიონის ქალთა საბჭოს გადაუგზავნა.

მართლაც, წალენჯიხის რაიონის ქალთა საბჭოში გულდასმით შეისწავლეს ვ. ლემონჯავას საჩივარში აღნიშნული ფაქტები:

ვ. ლემონჯავა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით ქმართან განქორწინებულია, ცხოვრობს მუშათა საერთო საცხოვრებელში, დროულად იღებს ალიმენტს, მაგრამ ამ მცირე თანხით დედაშვილი ვერ იცხოვრებს, ან რატომ უნდა იცხოვროს გაჭირვებით, როცა ის ახალგაზრდაა და მუშაობა შეუძლია?

ამიტომ წალენჯიხის რაიონულმა ქალთა საბჭომ ვ. ლემონჯავას უშუამდგომლა წალენჯიხის ჩაის ფაბრიკის დირექციის წინაშე, სამსახურში მოწყობის თაობაზე.

ვ. ლემონჯავამ ჩაის ფაბრიკაში მუშად დაიწყო მუშაობა, მისი პატარა შვილი კი იმავე ფაბრიკის საბავშვო ბაგა-ბაღში მიიღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შალვა ამონაშვილი

# ბავშვები და საოჯახო ბიუჯეტი

ერთი ზღაპრის პედაგოგიური სიბრძნე მინდა შეგახსენოთ. მამამ შვილს მოსთხოვა, ოჯახში საკუთარი შრომით მოპოვებული ფული მოეტანა. დედას შვილი შრომისათვის ეცოდებოდა, თავად მისცა ფული და დაარიგა: საღამოთი მამაშენს მიუტანე, ვითომ შენი ოფლით მოიპოვეო. მამამ შვილს ფული გამოართვა, დახედა და ანთებულ ბუხარში ისროლა. შვილი გულგრილად უყურებდა, როგორ იწვოდა დედის ნაჩუქარი ფული. ასეთი რამ მეორე დღესაც განმეორდა. მესამე დღეს დედამ შვილს უთხრა: ხომ ხედავ, მამაშენი ყველაფერს ხვდება, მეტი რა გზაა, წადი და შენი ოფლით ნაშოვნი ფული მოუტანეო. საღამოთი შვილმა მამას ფული გაუწოდა, მამამ ისევ დახედა ფულს ,და ცეცხლში ისროლა. რას შვრები, მამავ! -- შეჰყვირა შვილმა და ცეცხლმოკიდებულ ფულს წაეტანა, რომ გადაერჩინა, — ამის გულისათვის მთელი დღე ოფლს ვღვრიდიო. მამამ მშვიდად უპასუხა: ახლა კი მჯერა, რომ ეს შენი ოფლით ნაშოვნი ფულიაო.

ამ ზღაპრით იმის თქმა მსურს, რომ ბევრ ოჯახში ისე იზრდებიან ბავშვები, წარმოდგენაც არა აქვთ, რა სახსრებით ცხოვრობს ოჯახი, როგორ ნაწილდება ოჯახის წევრებზე უფროსთა შრომითი შემოსავალი. შვილებს არაფერს ვაკლებთ — არც ჩასაცმელს, არც საჭმელს, არც გასართობს, მათი კერძო მეცადინეობისათვისაც ზოგჯერ ოჯახის მთელ დანაზოგს ვხარჯავთ, თანაც თავს ვინუგეშებთ, რომ ისინი ამ ზრუნვას დაგვიფასებენ, როცა დამოუკიდებლები გახდებიან. მაგრამ პირიქით კი ხდება. რატომ იცით? იმიტომ, რომ შვილებმა თავის დროზე ვერ დაინახეს, ვერ განიცადეს, რა მოიკლეს მშობლებმა, როგორ შეიზღუდეს საკუთარი მოთხოვნილებანი, რომ მათთვის არაფერი მოეკლოთ.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ახალგაზრდებს მშობლები ხელოვნურად უხანგრძლივებენ ბავშვობას. ბავშვი იმის ბავშვია, რომ დიდობისაკენ, დამოუკიდებელი ცხოვრებისაკენ ისწრაფვის. მშობლებმა კი ზომას გადაჭარბებული ზრუნვით მივაღწიეთ, რომ მათ დიდობის დაკმაყოფილების შესაძლებლობა წავართვით. თუ გვინდა შვილი მართლაც გვეზრდებოდეს, მას თავისი დიდი, საზოგადოებრივად ღირებული ვალდებულება და პასუხისმგებლობა უნდა დავაკისროთ და ნურც იმ დედასავით მოვიქცევით, შვილს შრომისათვის რომ ეცოდებოდა.

პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის მშობელთა პედაგოგიზაციის კაბინეტს მერვეკლასელი ბავშვის მშობლები ეწვივნენ. რა აწუხებდათ? მათმა შვილმა შინიდან ძვირფასი სამკაულები წაიღო, გაყიდა და ფული უაზრო გართობაში გაფლანგა. დაარბენინებდა გოგონებს ტაქსით, ეპატიჟებოდა მათ კაფეებში, ყიდულობდა სიგარეტებს. მშობლები გაოცებით გვეკითხებოდნენ: რატომ გაგვიკეთა ასეთი რამ ჩვენმა შვილმა, ჩვენ ხომ მისთვის არაფერს ვზოგავდითო. აი, რა გამოირკვა: ხან დედა, ხან მამა, ერთმანეთისაგან უჩუმრად, შვილს ყოველდღიურად აძლევდნენ 2-3 მანეთს. ბიჭი დაეჩვია ამას და მეტის მოთხოვნაც დაიწყო.

— ოდესმე თუ უკითხავს თქვენს შვილს, როგორი შრომით შოულობთ ფულს, როგორ და რაში ხარჯავთ მას? — ვკითხეთ მათ. არასოდესო, გვიპასუხეს. — თუ იციან თქვენმა შვილებმა (მათ კიდევ ორი ქალიშვილი ჰყავთ), რამდენი გაქვთ ხელფასი? — შვილებმა არც ეს იციანო.

რა გამოდის? მშობლებმა თავად წააქეზეს შვილები: ითხოვეთ რაც გინდათ, ყველაფერს შეგისრულებთ, ოღონდაც თქვენ სასახელო ადამიანები გაიზარდეთ, ოღონდაც ისწავლეთო! მაგრამ იმას აღარ დაუფიქრდნენ, რომ ეს „ოღონდაც" თავიდანვე უსაფუძვლო პირობა იყო.

შვილს რომ სწავლის პასუხისმგებლობა ჩავუნერგოთ, და სასახელო ადამიანად გავზარდოთ, მის ყველანაირ მოთხოვნილებას კი არ უნდა აყვეთ, პირიქით: კარგად გააგებინეთ შვილებს, პატივცემულო მშობლებო, როგორ და რამდენს შრომობენ ოჯახის უფროსი წევრები, გაუჩინეთ პატივისცემის გრძნობა თქვენი შრომის მიმართ, თავადაც აშრომეთ, იყავით მომთხოვნი შვილების მიმართ, რომ თქვენს ზრუნვას ზრუნვითვე უპასუხონ, თანაგრძნობას თანაგრძნობა მოჰყვეს. ყოველი ხელფასის მიღებისას კი მოასმენინეთ, როგორ მსჯელობთ ოჯახის უფროსი წევრები საოჯახო ბიუჯეტის განაწილებაზე: აი, ოჯახში საერთო ხელფასმა ამდენი მანეთი შეადგინა, აქედან ამდენი ბინის ქირას, გაზს, წყალს, სინათლეს დასჭირდება. რჩება ამდენი. როგორ მოვიქცეთ, როგორ გავანაწილოთ? მოზარდმაც იმსჯელოს ბიუჯეტის განაწილებაზე, იცოდეს, რომ უყურადღებოდ ვერ დატოვებთ მოხუც მშობლებს, რომ კვებას თავისი ხარჯები აქვს, რომ აუცილებელია ცოტაოდენი ფული გადაინახოთ კიდეც. და აი, ამ მსჯელობა-განაწილებაში შვილი მიხვდება, რისი შესაძლებლობა აქვს ოჯახს და აქვე იმასაც მიეჩვევა, რომ ბევრ თავის მოთხოვნილებაზე უარი თქვას, თავშეკავებული იყოს, ზოგჯერ იმას, რასაც მას ვუწილადებთ, დას, ძმას, ან ბებიას დაუთმოს კიდეც.

ერთმა მამამ მითხრა: გაჭირვებაში გავიზარდე და არ მინდა ჩემმა შვილმა ძუნწი მიწოდოს, თანაც აღარ მაქვს ისეთი მდგომარეობა, რომ შვილს რამეზე უარი ვუთხრაო. რას ჰგავს ეს მსჯელობა? საქმე იმაში კი არ არის, დიდია თუ ცოტა ოჯახის შემოსავალი, არამედ იმაში, უყალიბდება თუ არა ბავშვს გონივრული მოთხოვნილებანი, იზრდება თუ არა ის უპრეტენზიო...

თუ მშობლებს შვილის ბედნიერება უნდათ, თუ სურთ მან ღრმაშინაარსიანი, საზოგადოებრივად ღირებული ცხოვრებით იცხოვროს, მაშინ ჩემი აზრით, შემდეგ პრინციპებს უნდა მიჰყვნენ: გაიხადონ შვილი მეგობრად, ოჯახის სრულუფლებიან წევრად, ჩაუნერგონ მას ოჯახის უფროს წევრთა შრომისადმი პატივისცემა, გაუჩინონ ისეთი საზრუნავი, რასაც ოჯახის ცხოვრებაში განსაკუთრებული და შეუცვლელი მნიშვნელობა აქვს, დაანახონ თავიანთი შრომის, ცხოვრების მოქალაქეობრივი, საზოგადოებრივი ღირებულება, ჩაუნერგონ დიდი და კეთილი მიზნებისაკენ სწრაფვა, შეაყვარონ შრომა; ეს ყველაფერი კარგად არის ცნობილი საოჯახო აღზრდის თეორიაში. შეგახსენეთ იმიტომ, რომ ვხედავთ: მშობლები, განსაკუთრებით მამები, ვერ იჩენენ ზომიერებას საოჯახო ბიუჯეტის განაწილებაში, ბევრი მათგანი არც უფიქრდება იმას, რომ ხელგაშლილობა შვილის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მეტწილად ამრუდებს შვილის აღზრდის პროცესს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მუსიკალური კომედიის თეატრში სიახლე

# სპექტაკლის

„...მევიოლინე სახურავზე!“ მართლაც რომ უცნაურია. მაგრამ ყური მიუგდეთ მის ბგერებს, ტკბილსა და ნაღვლიანს, ისინი ხომ ყველგან თან გვახლავს, სიხარულსა თუ მწუხარებაში, მათში ჩაუქრობელი სევდის ჩივილია. ვიოლინო ლაპარაკობს, მღერის, ქვითინებს. მშვიდობას, სიკეთეს, ბედნიერებას გისურვებთ თქვენ და თქვენს ახლობლებს. შოლომ-ალეიჰემი!“

ასე შეეგება მერძევე ტევიე ყველას, ვინც კი იმ საღამოს ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში მოვიდა.

ასე იწყება სპექტაკლი „მევიოლინე სახურავზე“, რომელშიც დიდი სითბოთი და სიყვარულით ნაჩვენებია უბრალო ადამიანებისა და მთელი ხალხის ბედი, მიგდებული ანათევკას ცხოვრება, ტევიეს და მისი ხუთი ქალიშვილის ტრაგედია. მათ უკან კი სევდიანად მომღიმარე შოლომ ალეიჰემი დგას, რომლის უკვდავი მოთხრობა „მერძევე ტევიე“ საფუძვლად დაედო ჯერი ბოკისა და ჯოზეფ სტაინის მიუზიკლს.

მეოცე საუკუნის ფენომენად მოევლინა ხელოვნებას მიუზიკლი. ამ ჟანრის შედევრთა რიცხვს მიეკუთვნება „მევიოლინე სახურავზე“. ის მსოფლიოს საუკეთესო თეატრების სცენებზე დაიდგა. მაყურებელს აღელვებდა პატარა ადამიანების დიდი ფათერაკები, იტაცებდა ნაწარმოების მგრძნობიარე და კაშკაშა, ჭეშმარიტად „შლიაგერული“ მუსიკა.

თამამი და ლამაზი ნაბიჯი გადადგა ქართული მუსიკალური კომედიის თეატრმა. ჰუმანურობითა და პროტესტით არის გამსჭვალული მისი სპექტაკლი. მგზნებარედ გაისმის მასში დაცვის თემა ებრაელი ხალხისა, რომელსაც ასე უმოწყალოდ ჩაგრავდა მეფის თვითმპყრობელობა. ხალხის უკვდავება მისი სულის სიძლიერეა, რწმენის სიმტკიცეა — მას მეგობრობასა და მხარდაჭერას უბრალო რუსი ადამიანები უწევენ.

სადადგმო ჯგუფი, უპირველეს ყოვლისა, რეჟისორ-დამდგმელი გ. ლორთქიფანიძე და დირიჟორი პ. დავითაშვილი გარკვეულ რისკზე წავიდნენ. მათ ხელთ ჰქონდათ მიუზიკლის კლავირი და რამდენიმე ჩანაწერი (პარტიტურა ჩვენს ქვეყანაში საერთოდ არ მოიპოვება). რისკი აშკარა შემოქმედებითი წარმატებით დაგვირგვინდა. წარმატებას ხელი შეუწყეს სპექტაკლის რეჟისორმა ვ. ნიკოლაძემ, რომელმაც მიუზიკლის ტექსტი თარგმნა ქართულად და გ. გაჩეჩილაძემ. ამ უკანასკნელმა გემოვნებით, ზომიერების გრძნობით, ფაქიზად გააორკესტრა მუსიკა, მაქსიმალურად მიუახლოვა პარტიტურის ორგინალურ ჟღერადობას.

თეატრში დიდი ლიტერატურა და კლასიკური დონის მუსიკა მოვიდა. ამგვარმა მასალამ „აანთო“ კოლექტივი, „აიძულა“ გატაცებით ემუშავა. თეატრი პირველად როდი შეხვდა მიუზიკლის ჟანრს — აქაურ სცენაზე, გასულ წლებში, მისი საუკეთესო ნიმუშები იდგმებოდა. და მაინც, „მევიოლინე სახურავზე“ სთავაზობდა კოლექტივს ახალი თემატური მასალის, ინტონაციური წყობის, ახალი მხატვრული სახეების წვდომის დიდ შესაძლებლობებს.

„მევიოლინე სახურავზე“ გ. ლორთქიფანიძის პირველი დადგმაა მუსიკალური კომედიის თეატრში. ამ ნამუშევარმა რეჟისორი დაარწმუნა კოლექტივის აშკარა პოტენციურ შესაძლებლობებში. კოლექტივმა კი, თავისმხრივ, იგრძნო, თუ რაოდენ დიდი მუსიკალური ინტუიცია აქვს გ. ლორთქიფანიძეს.

ინტუიციამ რეჟისორს უკარნახა ეპოვა მსუბუქი, უშუალო, პლასტიკურად მოხდენილი ფორმა, სადაც მუსიკა ქორეოგრაფიასთან ერთად მუსიკალურ-სცენური მონტაჟის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია.

მასშტაბური, აქტუალური, გაშლილი მასობრივი სცენებით დამუხტული სპექტაკლი „მევიოლინე სახურავზე“ მაყურებელს ჭკუას არ არიგებს, არც ძალდატანებით კარნახობს რაიმეს, პირიქით, ართობს, სიხარულს ანიჭებს, გულწრფელ სიმპათიებს აღუძრავს ხალხისადმი, რომელიც თავისი უფლებებისთვის იბრძვის. სწორედ იმით არის ეს მასობრივი სცენები მიმზიდველი, რომ ქმნის წარმოდგენა-სანახაობას, მაგრამ თავისებურ სანახაობას, არა ოპერატულს, ნაირფეროვანს, არა თვალისმომჭრელს, არამედ ღრმა ტკივილით გამსჭვალულს, მაშინაც კი, როდესაც ადამიანებს ნამდვილი სიხარული ეწვია. თბილი, გულში ჩამწვდომი, ფოლკლორული თემების მოკაზმულ ორკესტრობაში აქა-იქ ფეთქავს ტრაგიკული ინტონაციები. საგუნდო ეპიზოდების მუსიკა მაღალ პათეტიკას აღწევს. ტანჯული ხალხის ბედია ასახული მათ გამომსახველ ბგერათა სახეებში, მღელვარება და შინაგანი პროტესტი მოიცავს დარბაზს, როდესაც სცენაზე ასე ბუნებრივად იბადება სიმღერა-გოდება ანათევკა (ქორმეისტერი ა. განუგრავა).

სცენური მოქმედებიდან ლოგიკურად ამოიზრდება პირველივე გუნდი „ტრადიციები“ — კოლექტიური პორტრეტი ხალხისა, რომელიც ჯერ კიდევ ძველ ადათ-წესებს ემორჩილება. ეფექტურად განლაგებულ სტატიკურ სკულპტურულ ფიგურებში, ისევე როგორც ხალხის სწრაფ მოძრაობაში, დიდი დინამიკა, შინაგანი ძალა იმალება. იმ ძალას, და ამასთან ერთად, ხალხურ მხიარულებას შეი-







ეროვნული ბიბლიოთეკა

# მგზნებარე პათოსი







ფოტოები სპექტაკლიდან „მევიოლინე სახურავზე"

ცავს ცნობილი სადღესასწაულო სიმღერა „ლეჰაიმი". ამ სიმღერით მთავრდება მიუზიკლის ორივე მოქმედება და ორივე შემთხვევაში იგი კულმინაციურ საგუნდო სცენებში გადაიზრდება, რომლებშიაც თეატრის მთელი დასი ერთიან, განუყრელ, მძლავრ ანსამბლად არის შემჭიდროებული. პროტესტითა და იმედით, მრისხანებითა და რწმენით გამსჭვალული „ლეჰაიმი", სპექტაკლის ბოლოს თვისებრივად ახალ ჟღერადობას იძენს. რეჟისორისთვის, ისევე როგორც ბალეტმეისტერ გ. ოდიკაძისთვის, საფუძველი ბოკის ნაწარმოების ის ფურცლები იყო, სადაც პოლიფონიურად შეერწყა ერთმანეთს ებრაული და რუსული ხალხური შემოქმედების მელოდიური და რიტმული მიმოქცევები. ამ კონტექსტში დაიბადა „ლეჰაიმის" ვოკალურ-პლასტიკური და სცენური მონახაზი.

გ. ლორთქიფანიძემ აქტიორული სპექტაკლი შექმნა, მასში ყველა თაობის შემსრულებელი ჩართო. სპექტაკლი აღბეჭდილია სითბოთი და უშუალობით. გულუხვობა არ დაუზოგავთ თავისი გმირისათვის ტევიეს ორივე შემსრულებელს — ბ. ბეგალიშვილსა და თ. მაისურაძეს — ორი სხვადასხვა, მუსიკალური და დრამატული თეატრის მსახიობებს.

ბ. ბეგალიშვილისათვის ახლობელი აღმოჩნდა სოფლის მეოცნებე კაცი, მისი ირონიული შინაგანი ბუნება. მას ყოველივე კარგად გაეგება ცხოვრებაში და მზად არის ვაჟკაცურად შეხვდეს უმძიმეს განსაცდელს. ბ. ბეგალიშვილი უხვად სარგებლობს მუსიკალური თეატრის ხერხებით. სიმღერა, ცეკვა, პლასტიკა მთავარია მის საშემსრულებლო ხელოვნებაში, რაც მოსწონს მსმენელს — მაყურებელს.

ამავე როლზე დრამატული თეატრის მსახიობის მოწვევა წინასწარ გააზრებული ნაბიჯი იყო. გ. ლორთქიფანიძემ არჩევანი თ. მაისურაძეზე შეაჩერა — მდიდარი შინაგანი ბუნების მქონე, გულწრფელი ხიბლით დაჯილდოებულ მსახიობზე; მიუზიკლისთვის აუცილებელი არ არის დაყენებული ხმით სიმღერა, მაგრამ მას ესაჭიროება სიმართლე — ღრმა და უტყუარი სიმართლე. სოფლის ფილოსოფოსის ჩახუჭუჭებული სიტყვა-პასუხი, რომელსაც თ. მაისურაძე დამახასიათებელი ტემბრით ღიღინებს, მღერით ლაპარაკობს, ბუნებრივად გადადის ვოკალურ ინტონირებაში. სცენური სახე თანდათან მდიდრდება, ღრმავდება და სპექტაკლის ფინალში ტიპაჟის თვისებებს იძენს.

ღარიბი ტევიე მდიდარია იმით, რომ მის გარშემო ისეთივე კეთილი, უბრალო, პატიოსანი ადამიანები ცხოვრობენ, როგორც თვითონ არის. უპირველეს ყოვლისა, ისინი მისი ოჯახის წევრები არიან: ერთგული ცოლი გოლდა (თ. მერკვილაძე, ი. ბოჭოიძე), სხვადასხვა ხასიათის ქალიშვილები, სულით წმინდა, მომხიბვლელი გოდლი (მ. ცაგარელი, მ. ტატიშვილი). და ხავა (მ. ჯოხაძე), მოსიყვარულე, თამამი ცეიტლი (მ. ლორთქიფანიძე, კ. ჩიკვაიძე), ახალი დროის მქადაგებელი სიძეები — მკერავი ხაიმი (ჯ. ჯანჯალაშვილი), სტუდენტი — მარქსისტი პერჩიკი (ი. ფოფხაძე, ა. ბახუაშვილი), რუსი ჭაბუკი ფედკა (თ. ოთარაშვილი).

ჩვეული პროფესიონალიზმით ასრულებენ თავიანთ როლებს ი. ვასაძე, ვ. სალარიძე, ო. ბახტაძე, ნ. ლაღიძე, ნ. მინდიაშვილი, ლ. ჩიბალაშვილი, მ. სურგულაძე, ც. გურგენიძე, ა. დაშნიანი, ა. გოგორიშვილი, გ. ხაჩატუროვი, ნ. მეძმარიაშვილი, ე. ჩხენკელი, ბ. ნებიერიძე.

მთელი ანათევკა განლაგებულა სცენაზე. მაყურებლის თვალწინ ერთმანეთს ებჯინებიან პატარა მინგრეული სახლები, მქრქალი გახუნებული ფერებით მოხატული ღარიბული სამიკიტნოები, ძველი, დამტვრეული ავეჯი, ვიწრო, შეუხედავი ეზოები — ამ ძუნწი და გამომსახველი ხერხებით მხატვარი ი. გეგეშიძე ასახავს მიგდებული, ყველას მიერ დავიწყებული ებრაული სოფლის სურათს.

სპექტაკლზე მოსული მაყურებელი, ბოკის მუსიკით მოჯადოებული, ადვილად იხსომებს და თან მიაქვს მისი ელვარე მელოდიები. თანამედროვე ამერიკული გასართობი მუსიკისა და კლასიკური ოპერეტების საუკეთესო ტრადიციებს ავითარებს ეს მიუზიკლი — მას განწყობით, გატაცებით უკრავს თეატრის ორკესტრი. დირიჟორმა პ. დავითაშვილმა, რომელიც დიდხანს სიყვარულით სწავლობდა ნაწარმოებს, მიაღწია მთავარს — მკვეთრად ასახა მუსიკის თვითმყოფადი კოლორიტი, მისი სასიმღერო საცეკვაო სტიქია, ბგერათა მდიდარი პალიტრა.

„მევიოლინე სახურავზე" ქართულ სცენაზე განსაკუთრებული სიმახვილითა და მგზნებარებით ქადაგებს ადამიანთა შორის სიყვარულს, რწმენის სისპეტაკეს და სიძლიერეს. შემთხვევით არ ამთავრებს რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე სპექტაკლს დიდი გაშლილი გუნდით — ხალხის პროტესტის სცენით. ეს გუნდი „ლეჰაიმი" კულმინაციაც არის და დასკვნითი აკორდიც. სწორედ ეს არის ამ სპექტაკლის პათოსი.

მირა ფიჩხაძე

# ქალთა ქალისა

რატომ არ უნდა ავაღორძინოთ ქალთა საბჭოები შრომითს კოლექტივებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, გავაერთიანოთ ისინი ერთიან სისტემად საბჭოთა ქალების კომიტეტის მეთაურობით. ქალთა საბჭოები სერიოზულ ზეგავლენას მოახდენდნენ ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ფართო წრის სოციალური საკითხების გადაწყვეტაზე.

მ. ს. გორბაჩოვი



ქალთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე.



საწარმოო გაერთიანება „თბილრძე". მ. ჯოხაძე, კ. სვანიძე, მ. ხარაძე, ზ. გვირგვილიანი სწავლობენ პროდუქციის ხარისხს.

დ. იაკობაშვილის ფოტოები

საქარხნო რაიონის ქალთა მეხუთე კონფერენციის ტრიბუნაზე საავეჯო დეტალების კომბინატის მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნადეჟდა ლაპაჩკოვა იდგა.

— კომბინატში 315 ქალი შრომობს, ეს ციფრი არ არის მცირე. დიდად ამაღლდა ქალის როლი ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში. გარდაქმნა წარმოებაში ქალთა უფრო ეფექტიან მონაწილეობას, პრობლემების გადაჭრას მოითხოვს. მაგრამ საჭიროა ზრუნვა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის. აქ კი წვრილმანები არ არსებობს. ჩვილბავშვიან დედებს ბავშვთა კვებისათვის ორი საათი ეძლევათ, ასევე სამუშაო დღის შეღავათიანი რეჟიმით სარგებლობენ მეოთხე-მეხუთე კურსის სტუდენტი ქალები. მაგრამ განა ეს საკმარისია?

ფანერის საამქროში მძიმე შრომის პირობებია. აქ ჰაერის ტემპერატურა 100—120 გრადუსს აღწევს. საამქროში შრომა ჯანმრთელობისათვის საზიანოდ ითვლება. ქალებმა პროფსაბჭოს თხოვნით მიმართეს, პენსია 50 წლის ასაკიდან დაგვინიშნეთო.

აქტიური შრომისათვის პირობების შექმნასაც ვითხოვთ. არა გვაქვს ჰიგიენის ოთახი, საჭიროა კომბინატთან ახლოს იყოს სავაჭრო წერტი, საყოფაცხოვრებო მომსახურების პუნქტი, საპარიკმახერო, საბავშვო ბაგა-ბაღი, რაც ქმარშვილიან ქალებს შეუმსუბუქებს შრომას, შესაძლებლობას მისცემს მეტი ყურადღება მიაქციონ ოჯახს, შვილების აღზრდას. ქალთა საბჭოებს შეუძლია ჩვენი ცხოვრების წარმატებით გარდაქმნისათვის სერიოზული ზემოქმედება მოახდინოს მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაზე.

კარებზე წარწერაა: „მიღების დღეები: ორშაბათი, პარასკევი, 3-8 საათამდე". მაგრამ კარი ყოველდღე, ყველასათვის ღიაა, ვინც გადაუდებელ დახმარებას მოითხოვს.

თბილისის საქარხნო რაისაბჭოს აღმასკომის მდივანი, ქალთა საბჭოს თავმჯდომარე კლარა სვანიძე ტელეფონის ყურმილს იღებს, სატელეფონო კვანძის უფროსს ესაუბრება. — ელენე პეტროსიანის ტელეფონი გამორთულია, ხშირად ზიანდება, შეუკეთეთ, დიდ ოჯახს დავეხმაროთ, შვილი ჰყავს ავად, ექიმი და წამალი სჭირდება.

კლარასთან რჩევისათვის დაუსრულებლად მოდიან. მათი მტკივნეული საკითხებია საცხოვრებელი ბინა, ბაგა-ბაღში ბავშვების მოწყობა, სამუშაოს პრობლემა, ოჯახური დავა, მარტოხელა დედათა საჩივარი.

მატყლის პირველადი გადამუშავების ფაბრიკის მუშას 29 წლის ქეთინო მეჭვაბიშვილს ხუთი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავს. მეშვიდე შვილიც მალე ეყოლება, ახალგაზრდა მუშების ოჯახი ორხეეში მძიმე საბინაო პირობებში ცხოვრობდა. ქეთინომ დახმარებისათვის ქალთა საბჭოს მიმართა. პარტიის რაიკომსა და რაისაბჭოს აღმასკომში იმსჯელეს და მუხიანის დასახლებაში რიგგარეშე ხუთოთახიანი ბინა მისცეს.

ექვსი შვილის დედა მარიამ სუმინაწერეთელი 17 წელია საწოლს არის მიჯაჭვული. ექვსი და-ძმა ავადმყოფი დედის ანაბარა დარჩა. რაისაბჭოს აღმასკომმა სუმინაწერეთლის ოჯახის დასახმარებლად 1982 წელს გადაწყვეტილება მიიღო. ამ საქმეს რაიონის ქალთა საბჭო ჩაუდგა სათავეში. შეიკრიბნენ „თეთრონის", საწარმოო-საავეჯო გაერთიანება „განთიადის", გრეხილავეჯის კომბინატის, საგალანტერიო-სატრიკოტაჟო გაერთიანების, უქსოვადი ქსოვილების ფაბრიკის, სოცუზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელები და გადაწყვიტეს უშწეო ოჯახს დახმარებოდნენ.

ალბომს ვფურცლავ. ქალთა საბჭოს მუშაობის, საქმიანობის ფოტომასალაა: შეხვედრები რაიონის აქტივთან, საწარმოთა ქალებთან, თეატრების მოღვაწეებთან, რაიონის ქალები უცნობი ჯარისკაცის საფლავთან, მთაწმინდაზე.

ქალთა საბჭო ბევრი საინტერესო ინიციატივის შემოქმედი გახდა. საბჭოს პრეზიდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმის წევრი, პარტიის რაიკომის მდივანი ირინე ბოროდულინა ყველა ღონისძიების აქტიური მონაწილეა.

მარტოხელა დედა ელისაბედ დარბაიძე მრავალწევრიან ოჯახში ცხოვრობდა. ვიწრო ბინაში იყვნენ ძმები, რძლები, ძმისშვილები და ელისაბედი შვილით. დაუსრულებლად დაობდნენ, ზედმეტად მიაჩნდათ მარტოხელა ელისაბედი და მისი შვილი.

წერილი: დიდი მადლობა ქალბატონო კლარა. ჩემი დახმარებისათვის თქვენ ყველაფერი იღონეთ. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ, ქალაქის ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ჟვანიამ სული ჩამიდგა, გამამხნევა, რომ ჩვილბავშვიანი ქალი არ შევეწიროდი ძმებისა და რძლების გაუთავებელ დავასა და დავიდარაბას. ერთოთახიან გამოთავისუფლებულ ჭერქვეშ შვილთან ერთად ვარ. არავინ გვედავება, არავინ შეურაცხგვყოფს. ქალბატონმა ნინომ მითხრა, მუშა ხარ და თქვენს მარჯვენას ვლოცავთო. ეგ დროებითი თავშესაფარია, რიგი მოგიწევს და ახალ ბინაში შეგასახლებთო. ამას მზის ქვეშ ყოფნა ჰქვია, ადამიანთა დიდი გული ჰქვია, თქვენ გაგიმარჯოთ! ელისაბედ დარბაიძე.

ქალთა საბჭოს გამსვლელი სხდომა დიმიტროვის საავიაციო საწარმოო გაერთიანებაში მოეწყო. დიალოგი გაიმართა ახალგაზრდა ოჯახებთან მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე.

ღონისძიებების ინიციატივა სარაიონო ქალთა საბჭოდან იწყება. იკრიბება ქალთა საბჭოს პრეზიდიუმის 17 წევრი (საწარმოდაწესებულებებში 87 ქალთა პირველადი ორგანიზაციაა, 105 სარაიონო ქალთა საბჭოს წევრია).

შეკრებაზე სურვილები იბადება, მსჯელობენ, შემდეგ აქტიური საქმიანობა იწყება. პრეზიდიუმი უშუალო კონტაქტშია ქალთა საბჭოს პირველად ორგანიზაციებთან. ყურადღებას არ აკლებენ მარტოხელა დედებს, ასევე ომგადახდილ ვეტერან ქალებს, უმწეო მოხუცებს, მრავალშვილიან დედებს. ყველა დღესასწაულზე ეხმიანებიან მათ. ახალ წელს, რვა მარტს მისალოცი ბარათები გაუგზავნეს, შემდეგ საზეიმო შეკრებაზე მოიწვიეს, ყველა მათგანს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

საწარმოო გაერთიანება „თეთრონში" ქალთა საბჭოს გამსვლელი სხდომა ქალთა შრომის პირობების შესწავლის შედეგებს მიეძღვნა. საწარმოში ძირითადად ქალები არიან. მათ მუშაობის ცუდი პირობები ჰქონდათ. საამქროებში წვიმა ჩამოდიოდა და ჩექმებჩაცმულნი მუშაობდნენ. მზადდებოდა უგემური სადილები. ილაპარაკეს სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ, ხმაურდამცავი საშუალებების დამონტაჟებაზე გაამახვილეს ყურადღება. ქალთა შრომის თაობაზე იკამათეს, იმსჯელეს. ქალს ხელს არ აძლევს უწესრიგო სამუშაო გარემო.

ამჟამად მუშების სამუშაო პირობები შეიცვალა. საწარმოში სავენტილაციო სისტემა გამართეს. ქალთა საბჭომ ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა.

„თეთრონის" ქალთა საბჭოს წინადადებას წარმოების ხელმძღვანელობამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირეს. კაპიტალურად შეკეთდა საამქროები, გაიხსნა მუშათა სანიმუშო სასადილო, ზრუნავენ ახლადშექმნილ ოჯახებზე, კარგ ტრადიციად დამკვიდრდა კომკავშირული ქორწილების, მუშა-ქალების დაბადების დღეების აღნიშვნა, მუშად კურთხევა.

რვაწლიან სკოლა-ინტერნატში ობოლი, უდედმამო ბავშვები სწავლობენ. ქალთა საბჭოს თავმჯდომარის კლარა სვანიძის სამუშაო დღე ხშირად სკოლა-ინტერნატიდან იწყება. ყურადღების ცენტრშია იქაური ცხოვრება, ბავშვთა სწავლა-აღზრდა, მან კარგად იცის, რომ სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს სათუთი მიდგომა სჭირდება, სახელმწიფო ზრუნავს მათთვის, მაგრამ ესოდენ საჭირო ალერსით ყოველთვის არ არიან გარემოსილნი.

ლუარას დედამ ოჯახი დატოვა. სამი გოგონა მამის ანაბარა დარჩა. ბავშვებს მშობლების შერიგება, ოჯახის გამთელება სურდათ, მაგრამ ვერარა გააწყვეს. ლუარა სკოლა-ინტერნატში მიაბარეს. ბავშვი ვერ შეეგუა მისთვის უჩვეულო ახალ გარემოს. გული შინ მიუწევდა. შინ კი მხოლოდ კედელს შერჩენოდა დედის სურათი. მას კი დედაც უნდოდა და მამაც. ენატრებოდა მშობლის ზრუნვა და ალერსი. პედაგოგებმა, ქალთა საბჭომ ზემოქმედება გააძლიერეს ბავშვზე და იგი თანდათან შეეგუა ახალ ცხოვრებას. გახდა მუყაითი. თვალი გარეთ არ გაურბოდა. ამჟამად ლუარა სკოლა-ინტერნატის მერვე კლასის მოსწავლეა. ჩანაწერს ვკითხულობ: „ძვირფასო დეიდა კლარა. პირობას გაძლევ, არ შეგარცხვენ, ვისწავლი კარგად, არ გავაცდენ გაკვეთილებს, ბეჯითად ვიმეცადინებ, შევეცდები ვიყო ჩემი სამშობლოს კარგი მოქალაქე". ლუარა.

მარტოხელა მუშა ქალმა ნალჩიკის ბავშვთა სახლიდან უდედმამო სამი და ჩამოიყვანა. ეს მოხდა რამდენიმე წლის წინათ. უფროსი ხუთი წლისა იყო, უმცროსები ოთხისა და ორნახევარი წლისანი. მზრუნველმა დედამ სიყვარულით, თბილი გულით გაზარდა ისინი. ბავშვებიც შესციცინებდნენ მოამაგე მშობელს. და ერთ დღეს სამივენი უგუნებოდ ოთახის კუთხეში მიყუჟულიყვნენ. მათი სუნთქვაც კი არ ისმოდა. დედას ირიბად მზერა დაუწყეს. ჭერქვეშ სიცივემ დაისადგურა. ბავშვთა ფერიცვალება უმალ ენიშნა დედას, შეკრთა იგი, მაგრამ ვერ აეხსნა მათ შორის ვინ დაუშვა ფარდა. დედას არ გამოეპარა ბავშვების ჩანაფიქრი, შინიდან გაქცევას რომ ლამობდნენ. მიკითხ-მოკითხა და შეიტყო ბოროტი ენის პატრონთა ზრახვანი. ძუ ვეფხის ძალა მიეცა, წელში გაიმართა და რაისაბჭოს აღმასკომის კარი შეაღო, ქალთა საბჭოს თავმჯდომარე მოიკითხა.

ბავშვებს არ ჰქონდათ დედის ავუგად ხსენების მიზეზი. ქალთა საბჭოს არასრულწლოვანთა კომისიის წევრები დატრიალდნენ, ბინაში მივიდნენ, სამივე დას გაესაუბრნენ, დააშოშმინეს, ყველაფერი მოაგვარეს. ჩაცხრა დედის გულის ტკივილი. დედაშვილობაში ბზარი რა ბზარია და მით უფრო, მის გამთელებაზე ლაპარაკი! ოჯახი ოჯახად დარჩა. შვილები კი — დედის ტრფიალნი!

ქალთა საბჭო ზრუნავს ოჯახის განმტკიცებისათვის, ოჯახში მაღალი ზნეობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებისათვის. მშობლები ხომ აგებენ პასუხს შვილების აღზრდისათვის.

რაიონის ქალთა საბჭოს აქტივისტები არიან პრეზიდიუმის წევრები: დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების მუშა, ადგილობრივი ქალთა საბჭოს თავმჯდომარე ვალენტინა ვლასოვა, გრეხილავეჯკომბინატის მუშა, საქალაქო საბჭოს დეპუტატი ლიუბოვ ივანოვა, საწარმოო გაერთიანება „თბილრძის" პარტბიუროს მდივანი მარინა ხარაძე, მედმუშაკთა პროფკავშირების რაიკომის თავმჯდომარე ციცინო კვინიკაძე, 82-ე საშუალო სკოლის დირექტორი ლიდია ვორობიოვა, პარტიის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე მარიამ ცხოვრებაშვილი.

კლარა სვანიძემ ქალთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრები იხმო. მთხოვნელთა საკითხები ჰქონდათ გადასაწყვეტი. სამუშაო მაგიდაზე სიები ელაგა — რაიონის ქალთა მდგომარეობის ნათელი სურათი. ცნობების მიხედვით გაირკვა, რომ ამჟამად ახლადდაქორწინებულთა ოჯახია ოთხი, მარტოხელა დედაა 30, ტყუპშვილიანი ოჯახია — 24, მრავალშვილიანი — 219, აქედან 53-ს ექვს შვილზე მეტი ჰყავს. სამი წლის მანძილზე 31 მრავალშვილიან ოჯახს მიეცა ბინა.

ამ რამდენიმე წლის წინათ ქალთა საბჭომ აღმასკომში საკითხი დააყენა ცალკე შეექმნათ მრავალშვილიანი ოჯახების საბინაო აღრიცხვა. რაისაბჭოს აღმასკომმა ამ წინადადებას მხარი დაუჭირა. ბევრმა ოჯახმა უკვე იზეიმა ახალსახლობა.

ქალთა საბჭო მოქალაქეთა წერილებში აღძრულ საკითხებზე დახმარებისათვის რაისაბჭოს აღმასკომს, პარტიის რაიკომს მიმართავს. ისინი მათ წინადადებებს იზიარებენ. ეხმარებიან ოჯახებს, გულთან მიაქვთ მშრომელთა სატკივარი. ქალთა რაიონული საბჭო ალბათ ამდენი სასიკეთო საქმის მოგვარებას ვერ შესძლებდა, რომ აქტიურად არ დაეჭირათ მხარი პარტიის რაიკომის პირველ მდივანს ამხ. ზ. შოშიტაიშვილსა და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ტ. არველაძეს.

რაიონის ყველა სკოლასა და სკოლამდელ დაწესებულებაში ქალთა საბჭოები შეიქმნა, რომლებიც კიდევ უფრო გააფართოებენ საზოგადოებრივსა და აღმზრდელობითს მუშაობას მოსწავლეებთან და მშობლებთან.

ქალთა საბჭო მოვალეა ახლოს იყოს თითოეულ ქალთან, საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროს, აპოვნინოს თავისი ადგილი საერთო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საქმიანობაში, გარდაქმნაში.

ქალი ხომ დიდი ძალაა!

ეთერ ჯაფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გვწერენ

# დედა

„... სხვისი დედები სახლს დაწკრიალებულს, საჭმელს გამზადებულს ახვედრებდნენ სკოლიდან დაბრუნებულ ბავშვებს. ჩვენ მუდამ ცივი სახლი, ცარიელი ქვაბი და სირცხვილი გველოდა შინ, — გვწერს გორის რაიონის სოფელ ატენიდან ხათუნა ლოთიშვილი. — რომ წამოვიზარდეთ, მე და ჩემი დაიკო ყველაფერს თვითონ ვიკეთებდით. სახლსაც ვუვლიდით, მამასაც, ძმასაც. ყველაზე ძნელი სირცხვილი იყო, დედის ღალატით მეხად დატეხილი სირცხვილი...“

ძნელია აუღელვებლად წაიკითხო ეს სტრიქონები, მაგრამ გულმოკლული შვილი ბოლოს და-ძმის სახელით უარესსაც დაწერს: „გავიდა ხანი და დედა გულიდან ამოვიღეთ...“

შვილები ღვიძლმა დედამ ღვთის ანაბარა მიატოვა (მამა სხვა რაიონში იყო დროებით სამუშაოდ) და პირად ვნებებს აყოლილი სახლიდან წავიდა.

გაუჭირდათ ბავშვებს, ძალიან გაუჭირდათ. თუმცა მამა შინ მალე დაბრუნდა, დიდედაც შეძლებისამებრ ეხმარებოდათ, მაგრამ მაინც უჭირდათ. მაშინ ხათუნა მეექვსე კლასში იყო. მორალურად უფრო გაუძნელდათ დებს, დედის უსაქციელობა ერცხვინებოდათ. სკოლაში ჩუმად მიიპარებოდნენ, გზად რომ არავინ შეხვედროდათ და დედაზე არაფერი ეკითხათ.

ერთ დღეს მამამ შვილებს გაანდო: ჩვენს ოჯახს ქალი სჭირდება, დროა ჩვენც ადამიანურად ვიცხოვროთო...

მშობელი დედისაგან გულმოკლული გოგონები დუმილით შეხვდნენ მამის ნათქვამს, პატარა ვანიკოს კი ბევრი არაფერი გაუგია.

მერე მამამ ყველას ახალი ტანსაცმელი მოუტანა: ლეილამ გამოგიგზავნათო. სადღაც გულის სიღრმეში ეამათ, მაგრამ წარბი არ გაუხსნიათ გოგონებს.

და აი, ერთ დღეს ლოთიშვილების ოჯახში ლეილა მოვიდა. ერთმანეთის აზომდაზომვაში დრო ნელა გადიოდა. ლეილას უჩვეულო კრძალვა ბორკავდა. ძნელია, მძიმე ტვირთია სხვისი ნაშობი შვილების დედობა. განსაკუთრებით, როცა არ გინდა „დედინაცვალი“ იყო. როგორც დედაჩიტი ბარტყებს, ისე დაჰფოფინებდა ლეილა „სხვის შვილებს“. ცდილობდა იოტისოდენა ტკივილიც კი არავისთვის მიეყენებინა. სამაგიეროდ არაფერს ითხოვდა, ოღონდ... ოღონდ ძალიან უნდოდა ხათუნას, მზიას, ვანიკოს გულში ჩაეხედათ მისთვის და თვალი გაესწორებინათ.

...იმ დღეს ლეილას ვანიკო ეჯდა კალთაში და პერანგს აცმევდა. ფიქრმა გონება მოსტაცა: როცა შენს გარშემო ბავშვები არიან, მართალი უნდა იყო, თორემ არ გაპატიებენ. მათ მშობელ დედასაც არ აპატიეს, არ აპატიეს, არ აპატიეს...

ხელზე რაღაც თბილი დაეცა და მაშინღა შენიშნა, რომ კალთაში ვანიკო ეჯდა.

ბიჭი უხმოდ ტიროდა.

მკერდში ჩაიკრა.

— დედა!

მთელს ტანში ელვამ დახანძრა, ამაზე ოცნებობდა...

ლეილას ყელში ბურთი მოაწვა. ბიჭი ჩაკოცნა და ცრემლებით სავსე თვალებით გაუღიმა. ამ ღიმილში გამოსჭვიოდა ის მშობლიური სითბო და უხილავი ძაფები, ამიერიდან ამ თვალმახარა ბიჭს და „ლეილა დედას“ მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ ერთსულ შეჰკრავდა.

ნელა, მაგრამ ღირსეულად მოვიდა ნდობა ლოთიშვილების სახლში. სახლი მარტო კედლები, სახურავი, ფანჯრები, აივანი როდია. სახლი ერთმანეთის მოსიყვარულე ადამიანების თავშესაყრელი ადგილია. როცა სახლში გეგულება ყველა, ვინც გიყვარს, ვისაც შეჰხარი, გული სხვაგან აღარ გიდგება, შინისაკენ მიგეჩქარება.

ლეილამ სითბო და სიტკბო დაამკვიდრა ლოთიშვილების სახლში. მან ოჯახში დედის საპატიო ადგილი დაიმკვიდრა. და არა მარტო ოჯახში, მზიას, ხათუნას, ვანიკოს გულებში.

„იგი მეტად მოსიყვარულე და შეგნებულია, გვივლის, ცივ ნიავს არ გვაკარებს ჩვენ და მამას, ახლა გავიგეთ რა ყოფილა დედის სიყვარული“. — ასე მთავრდება ხათუნას წერილი.

ახლა მზია და ხათუნა გორის სტალინის სახელობის ექსპერიმენტული მეურნეობატექნიკუმის მეხილეობა-მებაღეობის სპეციალობის მოსწავლეები არიან. ვანიკო უკვე მერვე კლასშია. ლეილა გორის რაიონის, სოფელ ატენის საბავშვო ბაღის აღმზრდელია, სახლში ქმარ-შვილს ევლება თავზე, საბავშვო ბაღში კი — აღსაზრდელებს.

ბარაქალა თქვენს ქალობას, ლეილა, მთელი გორი რომ აალაპარაკეთ კარგ დედობაზე.

ლალი ჭანკოტაძე

# ავი დედინაცვალი

ზაფხულის პაპანაქება სიცხეა. კურორტის კოტეჯები სავსეა დამსვენებლებით. წინა დღის ჩასული ვარ, წყლის ასაღებად ჩავდივარ, ჩემი ყურადღება ერთმა შემაშფოთებელმა ამბავმა მიიპრო: მესამე-მეოთხე კლასის ბავშვს, რომელიც ძალიან გამხდარია, ზურგზე სამი წლის გოგონა შეუსვამს და ქშენით აღმართზე ამოდის. უკან ჯოხით მსუქანი, ლოყებღაჟღაჟა ქალი მოსდევს, გოგონას ფეხებზე წკნელს ურტყამს და თან გაიძახის:

— აჩუ, აჩუ! — ბავშვს ტკივილისაგან სახე ემანჭება, თვალები ცრემლით ევსება. სამი წლის გოგონა კი იცინის, — დედას ეს უხარია...

ბავშვი შემეცოდა, უცნობს არ მოვერიდე და ვუთხარი:

— შვილო!.. შენი დაიკო ძირს ჩამოსვი, უკვე დიდია, თავის ფეხით იაროს.

ჩასუქებულმა ქალმა შემომხედა და ბავშვს უფრო მაგრად მოუქნია წკნელი.

წყაროს წყლის ასაღებად მივდიოდი, თან უკან-უკან ვიხედებოდი, მაინტერესებდა სად შევიდოდნენ, გამიკვირდა, როცა იმ კოტეჯში შევიდნენ, სადაც მე ვცხოვრობდი.

წყალზე დიდხანს მომიწია რიგში დგომა. დამსვენებლები შფოთავდნენ, ქალის საქციელს გმობდნენ. ვიღაცას იცოდებდნენ, გამოირკვა, რომ ისინიც იმ ბავშვზე ლაპარაკობდნენ.

— როგორ მეცოდება ეს ბავშვი, ნუთუ გული არა აქვს ამ ქალს, თვითონ ოთახში ისვენებს, გოგონა კი პატარა ხელებით სარეცხს ურეცხავს.

გულმა ვერ მომითმინა და მათ საუბარში ჩავერიე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაპატიეთ, ბავშვის რა არის ეგ ქალი?

— კარგად არ ვიცით, გოგონას ვერ ვათქმევინეთ, ისე დედას ეძახის...

— იქნებ დედინაცვალია?!

— შეიძლება...

მეორე დღეს, მწვანედ აბიბინებულ მინდორში, დამსვენებლების ბავშვები თამაშობდნენ, იქვე დედები იდგნენ და გულისწყრომას ვერ მალავდნენ:

პატარა ნუნუ დამსვენებლებს თანდათან შეეგუებოდა. მის მიმართ ყველა ყურადღებას იჩენდა, ხან რას მოვუკითხავდით, ხან რას...

ერთ დღეს მაყვლისფერი თვალებიდან ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა.

— რა დაგემართა, შვილო?! — ყველამ ერთხმად შესძახა.

ჩემმა დამ კარტი დაკარგა, თუ ვერ ვიპოვი, დედა ოთახში არ შემიშვებს.

ძალიან შეგვეცოდა გოგონა, სხვა კარტი შევთავაზეთ.

— არა, მიხვდება ჩვენი რომ არ არის...

ყველამ კარტის ძებნა დაიწყო, ბურდებში ვნახეთ გადაყრილი. ნუნუს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ათი დღის განმავლობაში პირველად ვნახეთ გახარებული ბავშვი.

ნუნუს „დედა" ჩვენთან ყოფნას ერიდებოდა, სულ განმარტოებით დადიოდა, იშვიათად თუ ვინმეს გამოელაპარაკებოდა.

ერთ დღეს ძელსკამზე იჯდა. ხელში ბავშვი აეყვანა, ისეთი დედური გრძნობით ეფერებოდა შვილს, გამიკვირდა. თურმე ამ ქალში არსებობდა დედაშვილური გრძნობა, მაგრამ, საუბედუროდ, გერის მიმართ არა. ნუნუში სიხარულის, სითბოს, ბედნიერების, ბავშვური ოცნების ნაპერწკლები ჩაფერფლილი, ჩამკვდარი იყო, ან რა გაახარებდა პატარა, სუსტ არსებას, როცა მის გვერდით აგრესიულად განწყობილი ადამიანია...

...სკამთან მივედი, მივესალმე, პასუხს არ დაველოდე იქვე ჩამოვჯექი. ჯერ პატარას გავეთამაშე. მერე საუბარი დავიწყე:

— როგორი ნაცნობი სახე გაქვთ, სადაური ბრძანდებით?

— თქვენთვის სულ ერთი არ არის? (საკურორტო ქალაქი დაასახელა).

— დიდიხანია აქ ისვენებთ?

— ათი დღის ჩამოსული ვართ.

— რამდენი შვილი გყავთ?

ლამზირა შეჩერდა...

— ორი.

— რამდენი წლის გათხოვილი ბრძანდებით?

— ოთხის, — ვიცი რაც გაინტერესებთ, ნუნუ ჩემი ქმრის შვილია, მას დედა არ ჰყავს, არც არავის საქმეა ჩემს პირად ცხოვრებაში ჩაერიოს — მიპასუხა მან.

— მართალია, ნუნუ თქვენი შვილი არ არის, მაგრამ მას ისეთივე სითბო, ალერსი, დედობრივი სიყვარული სჭირდება, როგორც თქვენს პირმშოს, რადგან ახლა თქვენა ხართ მისი დედა, მისი ერთადერთი იმედი. მას ხომ თქვენს გარდა დედა არ ახსოვს, როცა დაობლდა პატარა იქნებოდა, — ვესაუბრებოდი და ცრემლები მახრჩობდა.

ლამზირა გაბრაზდა. ბავშვს ხელი დაავლო და სწრაფად გამშორდა.

— ძალიან გადარჩით, მითხრეს დამსვენებლებმა. ნეტავი ნახოთ სასადილოში როგორ ექცევა ბავშვს. სწორედ ჭამის დროს მოისურვებს წყლის მოტანას, თვითონ კი ზის და შვილთან ერთად სადილს მიირთმევს. ნუნუ სულ მშიერი რჩება, — დარდიანად წარმოთქვა კახეთიდან ჩამოსულმა მანდილოსანმა, — ნამდვილად არ მეგონა მეოცე საუკუნეში კიდევ თუ იყვნენ ასეთი დედინაცვლები. ნუთუ ეს ქალი ვერ ხედება, რომ მისი საქციელი საზარელია.

— ეჰ, ჩემო კარგო, ლამზირასთანა დედინაცვლები კიდევ არიან, მაგრამ საზოგადოებამ არ უნდა აპატიოს ეს საქციელი.

სწორედ ასე მოიქცნენ სასადილოს თანამშრომლები, როცა შენიშნეს რომ ლამზირა მშიერს ტოვებდა ბავშვს, ავი დედინაცვლის პანსიონატიდან გაძევება მოითხოვეს.

მას შემდეგ ორი წელი გავიდა, მაგრამ იმ ბავშვის მდგომარეობა არ მასვენებს, სულ თვალწინ მიდგას მისი ნაღვლიანი თვალები, მარტო მე კი არა, ყველას ალბათ, ვინც იქ ისვენებდა...

იზოლდა მესხი

# მკითხველთა ლექსები

## მერმედები

თავად არ ვიცი,
სად იწყება ჩემში მამული
აის-დაისით,
ვარსკვლავებით,
ცით-მეწამულით;
პურის ღალანით
ვაზის ლერწით —
რწმენის სანთელით,
შუბლნათელი და გულნათელი
კაცით-ქართველით,
მაისის ფერით,
მთვარის ფერით
ცაო, თენდები,
ამიჟღურტულე,
დამიფრთიანე
ჩემი მტრედები!
მე უკვე ვიცი
რას მღერიან
ბოლოს გედები,
მერმედები, სიცოცხლეო,
მერმედები!..

ლამზირა ფირცხალავა
პედაგოგი. ზუგდიდი.

## იმერეთი მაისში

გულს მიბრწყინებს
ოქროს წვეთი,
ვკოცნი-ვერვინ დამიშლის.
იმერეთი! იმერეთი!
იმერეთი მაისში!
რა ჩიხურა!
რა რიონი!
მზექარგულით ნაისრი.

იმერეთის ალიონი, —
საქართველოს მაისი!
სული ანთებს ცისფერ კოცონს,
გულო, ფრთები აიშვი:
უნდა ვნახო,
უნდა ვკოცნო
იმერეთი მაისში!

თამარ აბზიანიძე,
სტუდენტი

## გაზაფხული

მზემ სხივების ჩამოშალა ფარდა,
იმ ფარდაში თოვლი აღარ ჩანდა.
დაირბინა ძველი ჩვეულებით,
ჩაიხვია ხნულის ხვეულები.

ალმაცერად გადაევლო ბინულს,
ტყეს სიმწვანის გადააცვა ფარჩა,
ვაზებს ცრემლით დაუნამა სახე,
ტყემლებს რძისფერ ყვავილებად ჩარჩა!

ნაირა ლეჟავაშელი

ლელი ხვედელიძე

# გაბრიელ შანელი

გაბრიელ შანელი ანუ, „კოკო", როგორც მას მოფერებით ეძახდნენ, მოდების სამყაროს ჩვენი საუკუნის დასაწყისში მოევლინა და თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე (იგი 87 წლის გარდაიცვალა) დიდება და პატივი არ მოკლებია. მას დასჭირდა დიდი შეუპოვრობა და თავდაუზოგავი შრომა, რათა მიეღწია იმ დიდებისათვის, რაც ჰქონდა ამ ხნის განმავლობაში. ამ უაღრესად ჭკვიანმა, დიდი გემოვნების მქონე ხელოვანმა სწორად გაუგო დროს, იგი მოდელებს ჰქმნიდა არა მაღალი საზოგადოებისათვის, არამედ მუშა-მოსამსახურე ქალებისათვის, რომლებმაც პირველი მსოფლიო ომის დროს ქარხნებსა და დაწესებულებებში მამაკაცები შეცვალეს. შანელის შემოქმედების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი სისადავე იყო. იგი ვერ იტანდა ზედმეტობას, ექსცენტრულობას, ქმნიდა მოდელებს გარეგნული ეფექტის გარეშე, ქმნიდა გასაოცარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სინატიფითა და ელეგანტურობით. შანელი ილტვოდა კლასიკურობისაკენ, ყველაფერი კლასიკურობამდე აჰყავდა, ტანსაცმელი იქნებოდა ეს, მოდების დემონსტრაციის საშუალებები, თუ მუსიკა, რომლებიც მოდების დემონსტრაციას ახლდა თან. მის მიერ შემოტანილი

# ივ სენ-ლორანი



როგორც ცნობილია, მოდების ისტორიაში საფრანგეთს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ფრანგული მოდა უზადო გემოვნებისა და სინატიფის სინონიმად არის ქცეული, ხოლო პარიზის სახელგანთქმული ფირმები ტონს აძლევენ და აკანონებენ მსოფლიო მოდას. ამავე დროს, მოდა სახელმწიფოსათვის წარმოადგენს მძლავრ ეკონომიკურ ბერკეტს, რომელსაც ქვეყნის სავაჭრო ბრუნვაში უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მოდური ფირმების გავლენის ქვეშ არის მოქცეული მრეწველობის მრავალი დარგი: საფეიქრო სამკერვალო მრეწველობა, ფეხსაცმლის, გალანტერეის, ფურნიტურის და პარფიუმერიის წარმოება და ბოლოს, საიუველირო ნაწარმიც.

მოდების სფეროში საფრანგეთის მსოფლიო პრესტიჟის განმტკიცებას დიდად შეუწყო ხელი მაღალი კლასის ფირმებმა, ე. წ. „ოტ კუტიურემ", ანუ „მაღალმა" მოდამ, რომლის არსებობის ასი წლისთავი 1965 წელს საზეიმო ვითარებაში აღინიშნა. მძლავრი და ზუსტია საქმიანობის მექანიზმი ამ ფირმებისა, სადაც ადრე ჩამოყალიბებული მუშაობის სისტემა და რითმი უცვლელად მიმდინარეობს (მოდების სეზონური ჩვენება, საჯარო დემონსტრაცია და სხვა). მხოლოდ დროდადრო ქრება და მის ნაცვლად ჩნდება ახალი სახელები და ფირმები. ძველიდან მოყოლებული შეიცვალა მხოლოდ ერთი რამ — სიტყვა „მკერავი" შეცვალა „მხატვარმა". საფრანგეთში ჩაცმის ხელოვნება აყვანილია დიდ სიმაღლემდე და მის ავტორებს ისეთივე პატივისცემითა და მოწიწებით იხსენიებენ, როგორც დიდ მხატვრებს. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ თანამედროვეობის ყველაზე პოპულარული „კუტიურეს" ივ სენლორანის ნამუშევრები გამოიფინა სახვითი ხელოვნების უდიდესი შედევრების გვერდით, მსოფლიოს საუკეთესო მუზეუმების საგამოფენო დარბაზებში — გასულ წელს ნიუიორკის მეტროპოლიტენსა და ლუვრში, მიმდინარე წელს კი მოსკოვსა და ლენინგრადში — ერმიტაჟში.

ივ სენ-ლორანი დაიბადა ალჟირში, 1936 წელს, შეძლებულ ფრანგულ ოჯახში. ჩაცმის ხელოვნებისადმი ინტერესი და ნიჭი ადრეულ ასაკში გამოავლინა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი ჩადის პარიზში, სადაც ეუფლება მხატვარ მოდელიორის პროფესიას და სულ რამდენიმე თვის შემდეგ „შალის ასოციაციის" მიერ გამოცხადებულ კონკურსში კაბის საუკეთესო ესკიზისათვის პირველ პრემიას ღებულობს. დიორმა, რომელიც კონ-

ბევრი სიახლე მტკიცედ დამკვიდრდა ჩაცმულობაში და დღემდე არ გამოდის მოდიდან. შანელს სასიამოვნო გარეგნობა ჰქონდა და თავისი მოდელების პირველი მანეკენი თვითონვე იყო. მან პირველმა უარყო კორსეტი, ჩაიცვა შარვალი და შალის ნაქსოვი პულოვერი-სვიტრი, პირველმა გამოიყენა ტრიკოტაჟი და იაფფასიანი სამკაულები (ხელოვნური მარგალიტი, ძეწკვი და სხვა). მოკლედ შეიჭრა თმა და მზით გარუჯული გამოჩნდა საზოგადოებაში.

როდესაც ცნობილ მხატვარ-მოდელიორს — ივ სენ ლორანს ჰკითხეს, თუ ვის მიიჩნევს იგი ყველაზე ელეგანტურ ქალად, მან დაუყოვნებლივ 80 წელს მიღწეული კოკო შანელი დაასახელა.

1938 წელს გადაღებულ ფოტოზე 55 წლის გაბრიელ შანელია აღბეჭდილი კოსტიუმში, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი შნო და ლაზათი და ნათლად გამოხატავს მის შემოქმედებით კრედოს.

გთავაზობთ ჩაცმულობის შესახებ გაბრიელ შანელის მიერ გამოთქმულ რამდენიმე აზრს:

1. იყო კარგად ჩაცმული — ეს გონების გამარჯვებაა გრძნობაზე.

2. მოდურად ჩაცმა იოლია, კარგად ჩაცმა კი რთული.

3. ტანსაცმელი იმდენად კარგი სახმარი უნდა იყოს და პასუხობდეს თქვენს ხასიათს, არ უნდა გრძნობდეთ ახალი რომ გაცვიათ.

5. უნდა შეგწევდეს უნარი, რომ კაბა, რომლის მსგავსი გარშემო სხვებსაც აცვიათ, ისე ატარო, არცერთი არ ჰგავდეს შენსას.

5. მოხდენილად თავის დაჭერის და კაბის ტარების უნარი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ლამაზი კაბისა და სამკაულების ქონება.

6. თუ ისეთ სამკაულს ატარებთ, რომელსაც ადგილი და დანიშნულება სწორად აქვს მიჩნეული, იგი ლამაზია და საგრძნობლად მოგიხდებათ, რა მნიშვნელობა აქვს ძვირფასია თუ არა.

7. რა საჭიროა ყოველი ახალი საზეიმო ვითარებისათვის ახალი კაბის შეძენა? ნუთუ ასე უმნიშვნელოა თვითონ ქალი და ასე მნიშვნელოვანია კაბა?

8. რამდენი ელეგანტურობაა თავშეკავებულობაში!

კურსის ჟიურის წევრი იყო, სენლორანი დაუყოვნებლივ მიიწვია თავის ასისტენტად, ხოლო, როდესაც 1957 წელს დიორე მოულოდნელად გარდაიცვალა, ფირმის მფლობელმა, უმდიდრესმა საფეიქრო მაგნატმა მარსელ ბუსაკმა ფირმას სათავეში სენ-ლორანი ჩაუყენა.

22 წლის სენ-ლორანის დებიუტი 1958 წელს შედგა. პირველმა კოლექციამ მას სენსაციური წარმატება მოუტანა. მოდების სამყარო დიდი იმედით და სიმპათიით განეწყო ამ ნიჭიერი და ბუნებით მოკრძალებული ახალგაზრდის მიმართ, რომელიც მომავალში ფრანგული სკოლის საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებელი და მისი ლიდერი გახდა. 1962 წელს სენ-ლორანი უკვე თავის საკუთარ სალონს ხსნის. მან გარს შემოიკრიბა და დიდი გულმოდგინებით შეარჩია მაღალი კვალიფიკაციის, შემოქმედებითი უნარის მქონე ადამიანები, დაწყებული საუკეთესო მკერავ-ოსტატებიდან და დამთავრებული ადმინისტრაციული მუშაკებით. იგი ძალიან მომთხოვნია, როგორც თანამშრომლების, ისე თავისთავის მიმართ. ამავე დროს დიდი პატივისცემითა და რიდით ექცევა თითოეულ მათგანს. ეს საუკეთესო გაკვეთილი მან ჯერ კიდევ დიორის ფირმაში მუშაობის დროს მიიღო. მას მიაჩნია, რომ ჩანაფიქრის ოსტატურად შესრულება წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწინდარია. როგორც შემოქმედი, სენ-ლორანი რეალურ, კლასიკურ პრინციპებს ემყარება და თავის თავს შანელის სულიერ მემკვიდრედ თვლის. მისი მოდელები საოცარი სინატიფითა და ელეგანტურობით გამოირჩევა. მისი შემოქმედებითი დევიზია: სილამაზე — შერწყმული მაქსიმალურ ფუნქციონალურობასთან. სენ-ლორანი დიდი წარმატებით მუშაობს აგრეთვე კინოსა და თეატრში.

როგორც უცხოეთის, ასევე ჩვენს სახელგანთქმულ მუზეუმებში მოდელების ექსპოზიციამ საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. საგამოფენო დარბაზებმა ვერ დაიტია ყველა მსურველი, გამოფენაზე წარმოდგენილი თითოეული მოდელი ხელოვნების ჭეშმარიტ ნიმუშს წარმოადგენს. იგი ასახავს მოდის მიმართულებას და არა კონკრეტულ რეკომენდაციას. გამოფენა არა მარტო სენ-ლორანის 30 წლის შემოქმედებითი მუშაობის ანგარიშია, არამედ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის მოდების ისტორიაცაა. და მაინც, ეს გამოფენა ყველაზე უფრო იმით არის საგულისხმო, რომ ჩაცმის ხელოვნებამ კანონიერი აღიარება მოიპოვა და დიდი ხელოვნების გვერდით დადგა. ივ სენ-ლორანმა კი მოდების საშუალებით თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნების შემოქმედებითი და საქმიანი კონტაქტების განვითარების საქმეში. იგი გვევლინება ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარებული ფართო კულტურული ურთიერთობის ერთ-ერთ მონაწილედ.





● მოდების სამყაროში ● მოდების სამყაროში ● მოდების სამყაროში ● მოდების სამყაროში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რამდენიმე სასარგებლო რჩევა





ვერცხლისა და მელქიორის ნაკეთობები რომ ყოველთვის თვალს ახარებდეს, თვალყური ადევნეთ და მოუარეთ მათ!

ვერცხლისა და მოვერცხლილ ნაკეთობებს მუქ ნადებს ადვილად მოაცილებთ შემდეგნაირად: გარეცხეთ ნაკეთობა თბილ, საპნიან წყალში, შემდეგ გაწმინდეთ ნიშადურის სპირტისა და კბილის ფხვნილის (ცარცის) ნარევში დასველებული რბილი ჩვრით, გარეცხეთ თბილ წყალში და გაამშრალეთ.

ვერცხლისა და მოვერცხლილ ნაკეთობებს პეწი რომ შეუნარჩუნოთ, ისინი უნდა გარეცხოთ ნიშადურის სპირტნარევ თბილ, საპნიან წყალში (სუფრის კოვზი ლიტრა წყალზე). მერე გაავლეთ სუფთა წყალში და გაამშრალეთ რბილი ქსოვილით.

ოქროს სამკაულები თავდაპირველ სახეს შეინარჩუნებს, თუ ფაქიზად მოეკიდებით და სწორად მოუვლით.

— საოჯახო საქმე უმჯობესია უბეჭდებოდ და უსამაჯუროდ აკეთოთ, თორემ ბეჭდის, თვლის თუ სამაჯურის გაპრიალებული ზედაპირი შეიძლება გაიფხაჭნოს და ბზინვარება დაკარგოს.

თუ თვლიანმა ოქროს სამკაულებმა ბზინვარება დაკარგა, ისინი უნდა გარეცხოთ ნიშადურის სპირტიან წყალში (6 წვეთი ჭიქა წყალზე), შემდეგ გაავლოთ სუფთა წყალი და რბილი ჩვრით გააპრიალოთ.

ოქროს ნაკეთობები მაშინაც უნდა მოიხსნათ, როცა იყენებთ კოსმეტიკას—ვერცხლისწყალზე და მის მარილებზე დამზადებულ კრემებს. ვერცხლისწყალი არათუ ფერს უცვლის და თეთრ ლაქებს ტოვებს ოქროზე, არამედ შლის კიდეც მას.

ოქროს ნაკეთობას ლაქები შეიძლება იოდმაც გაუჩინოს. ლაქებს ადვილად მოაცილებთ, თუ ნაკეთობას 15-20 წუთით ჩადებთ ფოტოგრაფიაში გამოყენებულ ჰიპოსულფიტის ხსნარში (1 ჩაის კოვზი ჭიქა წყალზე). შემდეგ გარეცხეთ სუფთა წყლით და გაამშრალეთ რბილი ჩვრით.

გარეკანის პირველ გვერდზე — პირველი მაისი. ჯ. ლომაძის ფოტო. მეოთხეზე — კომბინატ „ცეროდენას“ მუშა სტელა კოლოსოვა. დ. იაკობაშვილის ფოტო.

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: ნ. ბურბენიძე, ლ. კაკაბაძე (პ. მგ. მდივანი) ნ. გაფრინდაშვილი, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ჟვანია, პ ძლენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის 93-25-64 ლიტერატურისა და ხელოვნების 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. ტექნიკური რედაქტორის 93-98-58. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 7. 04. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 05. 87 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_3$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8.
Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ტირაჟი 160.000 შეკვ. 920 უე 04866



ინდექსი 76178

6162/101

